# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 2 ივლისი 1998 №108 (643) ფასი 50 თეთრი



REUTERS პარიზიდან

სამი კვირაა, მსოფლიო ტელევიზორს ლამის თვალისმოუწყვეტლივ შესჩერებია. სამი კვირაა, სხვებზე მეტად შეძლებულნი საფრანგეთის ქალაქ-ქალაქ დადიან. ხამი კვირაა, მსოფლიოს ჩემპიონატის სტადიონებზე ბურთი გაუჩერებლად დაგორავს. და აჰა, პირველი შესვენებაც. ამდენი ფეხბურთით თავგაბეზრებულნი მეოთხედფინალების წინ ორი დღით ამოსუნთქავდნენ. გუშინ და დღეს .უმატჩებოდ ვართ, ხვალიდან კი შოტლანდიელი ჰუ დალასი სენ დენის „სტად დე ფრანსზე" თამაშის დაწყების ნიშანს რომ მისცემს, ისევ მიუსხდებიან ტელევიზორებს, ივლიან ქალაქ-ქალაქ და ფიფას სამფეროვანი ბურთიც დაუღლელად იგორებს. განა, ამ ორ დღეს მეოთხედფინალისტებს დასვენების დრო აქვთ? მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდი შეუჩერებლად აგრძელებს ვარჯიშს და განსაკუთრებული მონდომებით ის ემზადება, ვინც თავის გუნდს მერვედფინალში ვერაფრით დაეხმარა. ზინედინ ზიდანი, ფრანგთა იმედი და სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო, ზეგ იტალიელების წინააღმდეგ ითამაშებს. აბა, სანახაობა ეს იქნება!

FRANCE 98

# ეს იყო ფინალი!

ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან



შუაღამე გადასულია. Mixte ზონაში ტევა არ არის. ჟურნალისტები ელიან მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. რეგლამენტიც ითვალისწინებს და, უნდა თუ არა, ეხალისება თუ არა, ყველა მწვრთნელი ვალდებულია, აქ მოვიდეს. მანამდე კი ახლახან დამთავრებული ამ დრამატული მატჩის გაცხოველებული განსჯაა. ყველაზე აქტიურად მოსაუბრეთა შორის ერთს გამოველაპარაკე, საუბარს სხვებიც შემოუერთდნენ.

— ჩვენ არც ჰოდლი გვჭირდება და არც პასარელა, მოვიდეს აქ მსაჯი თუ ვაჟკაცია და გვითხრას, რა ჩაიდინა დღეს — ცხარობს შუახანს გადაცილებული „დეილი მეილის" კორესპონდენტი ნაიჯელ კლარკი, რომელიც თბილისშიც ყოფილა საქართველო-ინგლისის მატჩზე და საკმაოდ კარგი მოგონებებიც აქვს ჩვენს ქალაქზე. ვარჩევთ არჩათვლილ გოლს, გაძევებული ინგლისელის საქციელს. აზრი ერთია — მსაჯმა თამაში გააფუჭა. იტალიელმა ისიც კი თქვა, როგორ ახერხებენ, ასეთ მნიშვნელოვან მატჩს ომანელსა და მალაიზიელს რომ ანდობენო (თანამსაჯებზეა საუბარი, თუმცა მათ, მგონი, არაფერი გაუფუჭებიათ).

პირველის ათ წუთზე დანიელ პასარელა შემოდის: სამ შეკითხვას თავისი გუნდის პრეს-ატაშე აძლევს, ორსაც სხვა. არგენტინელთა მწვრთნელი ძალზე ცივილურადაა გამოწყობილი — ღია ფერის კოსტუმი, ცისფერი პერანგი და წითელი ჰალსტუხი. ეს კია, პერანგი რომ სულ სველია, აშკარად ჩანს. შემდეგ ფეხბურთელების რიგია... შემოდის წყლის ბოთლით ხელში გლენ ჰოდლი. ეს სხვა კაცია, ვიდრე კოლუმბიელებთან მატჩის შემდეგ. პერანგი გამოუცვლია — უკვე თეთრებშია გამოწყობილი. ზუსტად ერთი წუთი „იმუშავა" დარბაზში — სამი მოკლე შეკითხვა დაუსვა თავისსავე პრეს-ატაშემ, მოკლე პასუხი და ისე, რომ ფრანგულად თარგმანსაც კი არ დაელოდა, გამოუმშვიდობებლად, ცივად დატოვა დარბაზი. მთელ ამ პერიოდში დრო და დრო დაცვის თანხლებით ორივე გუნდის წევრები ტოვებდნენ სტადიონს. „ადიდასის" შორტებსა და მაისურებში გამოწყობილ გამარჯვებულებს ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდათ. ინგლისელებმა ცივად ჩაიარეს. თვით ინგლისელმა ჟურნალისტებმაც, რომლებიც ბევრ მათგანს ახლოს იცნობენ, გამოლაპარაკებაც კი ვერ მოახერხეს...

ჩემპიონატის რიგით 55-ე მატჩი უკანასკნელი აღმოჩნდა ინგლისელთათვის. დღეიდან შვებით ამოისუნთქავენ პოლიციელები — მუდმივი თავისტკივილი მოშორდებათ — ფეხბურთელებს ალბათ აგრესიულობითა და თავგასულობით აგრერიგად ცნობილი ფანებიც გაჰყვებიან.

ფანებისა რა მოგახსენოთ, ეს პოლიციელების საქმიარია, მაგრამ ინგლისელებს ცოტა ადრე ხომ არ მოუწიათ გუდა-ნაბადის აკვრამ საფრანგეთიდან? უკიდურეს შემთხვევაში, თავის დამშვიდება იმითაც შეიძლება, რომ მათი მონაწილეობით ჩემპიონატის კალენდარულ ფინალამდე პირველი ფინალი უკვე შედგა.

რით არ იყო ეს მატჩი ფინალური — მას ხომ ფინალის ყველა ნიშანი გააჩნდა — ორი მძლავრი საფეხბურთო ქვეყანა სხვადასხვა კონტინენტიდან, თამაშის განსხვავებული სტილი, თითოეულ გუნდში რამდენიმე ვარსკვლავი, გადაჭედილი სტადიონი, პრესის ინტერესი და ჟურნალისტთა მოზღვავება, დრამატული, ინტრიგებით აღსავსე მატჩი, ორი სათამაშო პენალტი, კიდევ ორი გოლი, ექვსი ყვითელი ბარათი, ერთი გაძევება, დამატებითი დრო, პენალტების სერია და ბოლოს, მსაჯის შეცდომები. რა, განა საკმარისი არაა? ამ დონის, ამაზე უარესი და უკეთესი ფინალებიც გვახსოვს.

ვფიქრობ, ყველა, მაგრამ თავისი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით ქართველი კაცი განსაკუთრებით, განიმსჭვალება სიმპათიით მის მიმართ, რომელნიც უფრო მრავალრიცხოვან ან ჭარბ ძალას ებრძვის და ეპაექრება. მთელი 65 წუთი ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლები ათნი იბრძოდნენ თერთმეტის წინააღმდეგ. აქ ორი ფაქტორიცაა მხედველობაში მისაღები — არც გაძევებული დევიდ ბექემია ხელწამოსაკრავი და ანგარიშგასაწევი ფეხბურთელი, მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია გუნდში და არც არგენტინის ნაკრებია ბენინიდან ან, ჩვენთან რომ იტყვიან, ბანოჯიდან.

იხილეთ მეხუთე გვერდი

მას შემდეგ, რაც NBA-ს დრაფტში ამერიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „სეიტლ სუპერსონიქსმა" თავის რჩეულთა შორის ქართველი ვლადიმერ სტეფანია დაასახელა, ცხადია, ძალიან გავიხარეთ, მაგრამ, მართალი გითხრათ, მოსვენებაც დავკარგეთ. როგორი ამბავია, ჩვენი ნაკრების ლიდერს მომავალი სეზონიდან NBA-ს საუკეთესო გამთამაშებლის გერი პეიტონის, ვინ ბეიკერის, დეტლეფ შემპფის მხარდამხარ შაკილ ონილის, სკოტი პიპენის, გრანტ ჰილის, შონ კემპის, ტიმ ჰარდევეისა თუ კალათბურთის სხვა ვარსკვლავთა წინააღმდეგ მოუწევს გაჯიბრება. იმდენად დიდი იყო სტეფანიასთან გასაუბრების სურვილი, ჟურნალისტთა ამქრისთვის კარგად ცნობილი ხერხის გამოყენებით — კარებს მოგიხურავენ, ფანჯრიდან გადაძვერიო — ვისარგებლეთ, „სიეტლ სუპერსონიქსის" ოფისიც ავაწრიალეთ, სლოვენიის „ოლიმპიას" ტელეფონიც ავაფეთქეთ, ლუბლიანაში ვოვას ოჯახიც არ დავინდეთ, აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ფანჯრის მეთოდს მივმართეთ და, როგორც იქნა, ვოვა სტეფანიაც მოვიხელთეთ:

# ვლადიმერ სტეფანია: შენი დიდი იმედი გვაქვსო

## სონიქსის ვიცე-პრეზიდენტის ბილი მაკკინის აზრით, სტეფანიას ნბა-ში თავის გამოსაჩენად მხოლოდ დრო სჭირდება

**— ვოვა, „სარბიელიდან" გაწუხებთ, უპირველესად, გილოცავთ წარმატებას, იმედია, გასაუბრებაზე უარს არ გვეტყვით.**

— მილოცვისთვის დიდი მადლობა, კითხვებზეც სიამოვნებით გიპასუხებთ.

**— სიეტლელების არჩევანს თუ ელოდი? მგონი, მანამდე NBA-ს სხვა კლუბებსაც ეჭირათ შენზე თვალი.**

— განსაკუთრებით „ფინიქს სანზი" აქტიურობდა. „ჩიკაგო ბულზის" წარმომადგენლებიც შემეხმიანნენ რამდენჯერმე, თუმცა, როგორც ნახეთ, „სიეტლ სუპერსონიქსმა" აჯობა ყველას. მართალი გითხრათ, არ ველოდი, სიეტლელთა რჩეული თუ გავხდებოდი.

**— დრაფტის დროს სად იყავით?**

— იტალიაში, ტრევიზოში ვიმყოფებოდი.

**— იტალიაში რაღა გინდოდათ?**

— საზაფხულო შეკრებაზე ევროპის ქვეყნებიდან ჩამოდიან კალათბურთელები და ცნობილი ვარსკვლავების მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. დრაფტის მიმდინარეობას ჩემს აგენტთან ერთად ვადევნებდი თვალყურს და როცა „სიეტლ სუპერსონიქსის" რჩეულთა შორის ჩემს სახელსა და გვარს მოვკარი ყური, მღელვარებისგან კარგა ხანს ხმა ველარ ამოვიღე. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა მოკლე ხანში ამერიკიდან დამიკავშირდნენ, მილოცვის შემდეგ მთხოვეს სიეტლში ჩავსულიყავი, ყველაფერზე წინდაწინ ეზრუნათ, თვითმფრინავის ბილეთიც კი ჰქონდათ ჩემს სახელზე შეკვეთილი.

**— სიეტლში გუნდის ხელმძღვანელობას შეხვდებოდით, ახალი მწვრთნელი პოლ უესტფოლიც გაგესაუბრებოდა.**

— კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა გულთბილი მიღება მომიწყო. კმაყოფილი იყო დრაფტის შედეგებით. რა თქმა უნდა, გუნდის მწვრთნელსაც შევხვდი — შენზე დიდ იმედებს ვამყარებო, თან გულწრფელად ამიხსნა, პირველ სეზონში ძალიან გაგიჭირდება და მხოლოდ რამდენიმე წუთს თუ დაჰყოფ მოედანზეო.

**— თანაგუნდელებთან ერთად ხომ არ გივარჯიშიათ?**

— არა, ამჟამად შვებულებაში არიან, ვარჯიშით კი ჩემსავით ახალწვეულებთან, სამ შავკანიან კალათბურთელთან ერთად მოვსინჯე „სიეტლ სუპერსონიქსის" სარბიელი

იხილეთ მეცხრე გვერდი



KOŠARKA

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდო, დადე ეგ ხორცი!



თავად რონალდოს წონის პრობლემა სულაც არ ადარდებს

ბრაზილიელი გულშემატკივრები კინაღამ პანიკამ მოიცვა. ტეტრაკამპიონთა ნაკრების ექიმმა, ლიდიო ტოლედომ განაცხადა, რომ ვარსკვლავთა ვარსკვლავს, რონალდოს სათამაშო ნორმასთან შედარებით ორი კილოგრამი აქვს მომატებული.

ტოლედო ბრაზილიელ ჟურნალისტებს გუნდის სასტუმროში ესაუბრა. საიდან უნდა სცოდნოდა საბრალოს, რომ მის ნათქვამს სამშობლოში ეროვნულ კრიზისად აღიქვამდნენ.

ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფოტო, სადაც რონალდო ხორცის ვეებერთელა ნაჭერთან ბრძოლის დროსაა აღბეჭდილი. ეს ფოტო ახლა ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ ყოფილა გადაღებული, პიკნიკის დროს.

იმავე გაზეთის ინტერნეტულ ჰოუმპეიჯში გაჩნდა კითხვა: „როგორ გგონიათ, მოსუქდა რონალდო?“

შემდეგ, გამოჩნდა ცნობები, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი სამშაბათის ვარჯიშზე მოედანს გარშემო ურბენდა, ამასობაში კი მისი თანაგუნდელები ბურთაობით იყვნენ გატაცებულნი.

მოგვიანებით ტოლედოს კიდევ ერთხელ მოუხდა მეგაზეთეებთან შეხვედრა. მისი ახალი ინფორმაცია ასეთი გახლდათ: „ის იდეალურადაა. ამ დილით ავწონე და სასწორმა 83 კილოგრამი მაჩვენა. მან დაიცვა ჩემს მიერ გამოწერილი დიეტა, რომელიც საკმაოდ მკაცრი გახლდათ“.

თავად რონალდომაც დაადასტურა, რომ ბრაზილიელთა საჩემპიონო მიზნებს მისი მხრიდან წინ რაიმე დაბრკოლება არ ელობება.

„ორი წელიწადია, ერთი და იგივე სიმაღლისა და წონის ვარ. ასეთი აღნაგობით ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატები ვითამაშე. მას მერე არაფერი შეცვლილა“ — თქვა მან.

ამასობაში, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში აღინიშნა, რომ რონალდოს სათამაშო წონა უნდა იყოს 77 კილოგრამი. ამან, ცხადია, ისედაც დაშინებული ტორსიდა უფრო მეტად დააფეთა, მაგრამ ტოლედომ აქაც მონახა გამოსავალი. მან განაცხადა, რომ ეს რონალდოს წინა ჩემპიონატის დროინდელი წონაა. მაშინ ფორვარდი 17 წლისა იყო.

ტოლედოს თქმით, რონალდოს მუხლის ტკივილიც აწუხებდა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი ყოფილა.

„ის სრულიად ჯანმრთელია“ — დასძინა ექიმმა.

მოგეხსენებათ, პარასკევ საღამოს, მეოთხედფინალში ბრაზილია დანიას ხვდება. ისიც მოგეხსენებათ, რომ რონალდოსგან საფრანგეთის მინდვრებზე გაცილებით მეტს ელიან, ვიდრე ჯერჯერობით შეძლო.

**ბაბუნა ბედია**



ჯეიმს ბრაუნისა არ იყოს, თავს ხორვატი ფანებიც კარგად გრძნობენ

# მათ სჯერათ, რომ შეუძლიათ

ხორვატებისთვის მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი სადებიუტოა და, შეიძლება ითქვას ჯერჯერობით ერთობ იღბლიანიც. ექსიუგოსლავიელებმა სტარტი არცთუ შთამბეჭდავი აიღეს, მაგრამ თანდათან მოუმატეს და ახლა უკვე მეოთხედფინალის ღირსეული ბინადრები არიან. ამისთვის მათ 30 ივნისს რუმინეთის საკმაოდ ძლიერი ნაკრები დაამარცხეს. ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ხორვატთა თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი იმუქრებოდა, ოღონდ რუმინეთს გავცდეთ და მერე მე ვიციო. როგორც შემდეგ გაირკვა, „მე ვიციში“ მსოფლიოს ჩემპიონობა იგულისხმებოდა. ყვითელთმიანები უკვე შინ მიემგზავრებიან, ხოლო ბლაჟევიჩის გუნდი მომავალ შეხვედრაში გაიმარჯვებას თუ არა, ამას სულ მალე შევიტყობთ. მანამდე კი მერვედფინალის დაძლევის შემდეგ მის მიერ გამოთქმულ აზრებს და ქვეყანაში გამართულ დღესასწაულს გავეცნოთ.

გახარებულმა ბლაჟევიჩმა გუშინწინდელი მატჩის თაობაზე მხოლოდ ერთიორი სიტყვა თქვა, რის შემდეგაც მთელი ყურადღება მომავალ მეტოქეზე, გერმანიის ნაკრებზე გადაიტანა: „რაღა თქმა უნდა, გამარჯვებით მეტად კმაყოფილი ვარ. პირველ რიგში მინდა იგორ სტიმაცს მივულოცო, რომელმაც ღირსეულად შეცვალა ზვონიმირ სოლდო და სწორედ მისი დამსახურებაა, რუმინელები ჩვენს კარს რომ ვერ უახლოვდებოდნენ. დიდი მადლობა დავორ შუკერს. ამ თამაშის შემდეგ დავრწმუნდი, რომ იგი მართლაც ფენომენალური ფეხბურთელია, მას ყოველთვის გადამწყვეტი გოლები გააქვს და ყველას ვპირდები — გერმანიასაც გაუტანს“.

ამის თქმა იყო და ბლეჟევიჩმა აქცენტი მეოთხედფინალზე გადაიტანა: „ეს შურისძიების მატჩი იქნება, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ რათა გერმანელები დავამარცხოთ“. როგორც გახსოვთ, ეს გუნდები ერთხელ უკვე შეხვდნენ ოფიციალურ თამაშში — 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მინიმალური ანგარიშით 2:1 კონტინენტის მომავალმა ჩემპიონებმა იმარჯვეს — „მართალია, მაშინ დავმარცხდით, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მსაჯი იმ დღეს ნამდვილად ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე — აღნიშნა ხორვატთა თავკაცმა და დაამატა — გერმანელები ჩვენი მეგობრები არიან და მერწმუნეთ, სპორტში არაფერია იმაზე დიდებული, ვიდრე მეგობრის დამარცხება. მე კარგად ვიცი მათი ფენომენის შესახებ და ისიც, თუ როგორ უნდა მოუღო ამ ფენომენს ბოლო!“

სანამ მიროსლავ ბლაჟევიჩი თავისიანებს აქებდა და მომავალ მოწინააღმდეგეს განადგურებით ემუქრებოდა, მის სამშობლოში ნამდვილი დღესასწაული გაიმართა. ომებით და უბედურებით გადაღლილი ხალხი ქუჩებში გამოეფინა და თავიანთ კერპთა გამარჯვებას ზეიმობდა. მატჩის დასრულებამდე წამები იყო დარჩენილი, როდესაც ქუჩებში დამონტაჟებულ დიდეკრანიან ტელევიზორებთან შეკრებილმა გულშემატკივრებმა ერთხმად დააგუგუნეს — „სამი, ორი, ერთი... მორჩა!“ და დღესასწაულიც დაიწყო. დაიწყო დავორ შუკერის ქებადიდებით, ყველგან მისი სურათი მოჩანდა და მისი სახელი გაისმოდა, რასაც ფონად ჯეიმს ბრაუნის ცნობილი სიმღერა I FEEL GOOD მისდევდა. ზაგრების ცენტრალურ მოედანზე შეკრებილი 2000-მდე ეროვნული დროშის ფერებით სახეშეღებილი ფანი მთელი ღამის განმავლობაში გაუჩერებლად გაჰყვიროდა — „ხორვატია, ხორვატია“. მათ არც გერმანელებისთვის დაუშურებიათ რამდენიმე ტკბილი სიტყვა, რომელთა დედააზრი ძირითადად ის იყო, რომ კლინსმანს და კომპანიას 4 ივლისს შინ მოუწევთ დაბრუნება, ხოლო ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ასეთი რამ თქვა: „ყველაფერი ეს მაგონებს ფილმს „ნახო პარიზი და მოკვდე“.

მოკლედ, ხუთ მილიონიანმა ხორვატიამ ღირსეულად აღნიშნა თავიანთ კერპთა მსოფლიოს რვა უძლიერეს გუნდში მოხვედრა. თუ ნაკრების ფეხბურთელებს და მათ თავკაცს დავუჯერებთ, ხორვატ ხალხს კიდევ მოუწევს ამგვარი დღესასწაულის გამართვა, რადგან ბლაჟევიჩმა რუმინელთა ძლევის შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმისტური განცხადება გააკეთა: „დიახ, მე მართლაც გულით მჯერა, ჩვენ ყველაფრის მოგება შეგვიძლია!“.

**დავით ძოწენიძე**

დან პეტრესკუს, რუმინეთის აწ უკვე მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნილი ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ მცველს რომ ჰკითხეს ამიერიდან თქვენი ქვეყნის ფეხბურთის მომავალი როგორ გესახებათო, მან ალალად უპასუხა:

„დიდი პრობლემებია მოსალოდნელი. ნეტავ ვცდებოდე, მაგრამ რუმინული ფეხბურთის კარგ მომავალს ვერ ვხედავ“ — თქვა ვეტერანმა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ხორვატიასთან 0:1 წაგების შემდეგ.

ცნობილმა გამთამაშებელმა გეორგ ჰაჯიმ დაადასტურა, რომ ეროვნულ გუნდში ჩატარებული 115 მატჩის შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობას თავს ანებებს. 33 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ აღარ შესწევს ლიდერობისა და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებთან გაჯიბრების უნარი.

ანგელ იორდანესკუ, მწვრთნელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული რუმინული ფეხბურთის ოქროს ხანა, მოგეხსენებათ, ბერძენთა ნაკრების ხელმძღვანელი ხდება.

ცდომა იმავე ფეხბურთელებზე დაყრდნობა იყო, 1994 წელს აშშ-ში რომ ჰყავდაო.

დღეს დიდი მსჯელობაა. დავობენ, ვინ გახდება ჰაჯის წასვლის შემდეგ ნაკრების ლიდერი. თითქოს ეს მისია 24 წლის ადრიან ილიემ უნდა იტვირთოს, მაგრამ ძალიან ბევრი მაინც ეჭვობს ილიემ ამოდენა ტვირთის თრევა შეძლოს.

„ჰაჯი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი ფეხბურთელი იყო. მის გარეშე ცხოვრება ძალიან ძნელი იქნება. ილიეს თუ სურს მისი ადგილის დაკავება, ძალიან დიდი ოფლისღვრა მოუწევს. ჰაჯი უკვე ლეგენდაა, ლეგენდასთან ჭიდილი კი ურთულესი საქმე გახლავთ“ — დასძინა პეტრესკუმ.

საკუთრივ ჰაჯი შედარებით ოპტიმისტურადაა განწყობილი. იგი ამბობს: „ჩემი წასვლის შემდეგ, თავიდან უთუოდ შეიმქნება სირთულეები, მაგრამ თუ ალლო არ მღალატობს თანდათან ილიე შემცვლის. ის ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა. მე კი იქნებ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციაში, კორუფციასთან ბრძოლის განყოფილებაში დავიწყო მუშაობა“.

# წინ მძიმე შეჯახება



ირუმინეთებს რუმინეთი უჰაჯოდ?

წლების განმავლობაში ახარებდნენ გულშემატკივართა გულებს მარიუს ლაკატუში, ილიე დუმიტრესკუ, ბოგდან სტელია... მათაც უკვე მიჭედებული კედელზე აქვთ ლურსმნები ბუცების ჩამოსაკიდებლად.

„იმედი მაქვს, რომ რუმინული ფეხბურთი არ დაიღუპება“ — განაცხადა იორდანესკუმ, რომელსაც ნაკრების წევრთა შერჩევის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან დიდი შეხლა შემოხლა ჰქონდა — „ხუთი წლის განმავლობაში ვემსახურებოდი ეროვნულ გუნდს. ამ ხუთმა წელიწადმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. მადლობას ვუძღვნი ფეხბურთელებს თამაშისა და მონდომებისთვის. მე კი თუ ამ ხუთი წლის მანძილზე რაიმე შეცდომები დავუშვი, პატიებას ვითხოვ“.

ამბობენ, მწვრთნელის ერთ-ერთი შეცდომა იმავე ფეხბურთელებზე დაყრდნობა იყო, 1994 წელს აშშ-ში რომ ჰყავდაო.

სხვათაშორის, ჰაჯის თურქულ კლუბ „გალათასარაიში“ კიდევ ერთი წელიწადი დარჩა სათამაშო.

რუმინეთში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში, ფეხბურთელთა ემიგრაცია დიდი პრობლემა გახლავთ.

„კარგი ნაკრები ვერ შეიქმნება თუ მასში ეროვნული ჩემპიონატიდან არ არის მიწვეული რამდენიმე ფეხბურთელი. მართალია 21 წლამდელთა შორის არიან ნიჭიერი მოთამაშეები, მაგრამ ისინი რუმინეთიდან გაქცევას ლამობენ“ — ჩივის პეტრესკუ — „ოდესმე, მომავალში იქნებ აღმოვაჩინოთ კიდეც ჰაჯის შემცვლელი და მაშინ რუმინული ფეხბურთი ახალ აღმავლობას დაიწყებს“.



# სირცხვილი დიეგო სიმეონეს!

იტალიის ნაკრების მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ თავისი თანაკლუბელი დიეგო სიმეონე გააკრიტიკა. „ინტერის“ გოლკიპერის აზრით, არგენტინელმა ნახევარმცველმა ინგლისელებთან შეხვედრის დროს დევიდ ბექჰემის გაძევება მსაჯს თეატრალური წაქცევით აიძულა.

„კარგად ვიცნობ სიმეონეს. მან იმ ეპიზოდისგან დრამა შექმნა“ — თქვა პალიუკამ — „მამა მია, გუშინ საზიზღარი მსაჯობა იყო“.

დანიელმა მსაჯმა კიმ მილტონ ნილსენმა მეორე ტაიმის მეორე წუთზე მოედნიდან ინგლისელი ბექემი გააძევა. მიზეზი: მან სიმეონეს ფეხი მაშინ გამოსდო, როდესაც მის წინააღმდეგ უხეშობის გამო თამაში გაჩერებული იყო, და თავად მინდორზე იწვა. სიმეონე მოედანზე გაიშოტა.

არგენტინელს საქციელი იტალიის ეროვნული გუნდის კიდევ ერთმა მოთამაშემ პარმელმა ფაბიო კანავაროմაც დაუწუნა.

„სამარცხვინო რამ ჩაიდინა სიმეონემ“ — თქვა მან — „მაგრამ მთავარი დანაშაული არბიტრს მიუძღვის, მან ეპიზოდს ალღო ვერ აუღო. შესაძლოა ორივე ფეხბურთელი უნდა გაეფრთხილებინა, სიმეონე ბექემის წაქცევისთვის, ბექემი კი პასუხისთვის, მაგრამ წითელ ბარათს იქ არაფერი ესაქმებოდა“.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის და არგენტინის შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო 2:2 დამთავრდა, პენალტებით კი სამხრეთ ამერიკელებმა მოიგეს 4:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტკივილი, ეს საშინელი ტკივილი...

## ინგლისელს ორი რამ ეზიზღება: არგენტინელები და ისევ არგენტინელები

...ინგლისის ნაკრების თავგადაკლული ქომაგები გაოგნებული შეჰყურებდნენ დევიდ ბეტის მიერ გაფუჭებულ



შირერი: ეჰ, რუმინეთთან რომ არ წაგვეგო...

გადამწყვეტ პენალტის შემდეგ სენტ ეტიენის სტადიონის მინდორზე მოზეიმე არგენტინელ ფეხბურთელებს. მათ ვერაფრით დაეჯერებინათ, რომ ეს საშინელება მოხდა და 1986 წლის მარცხისთვის ბრიტანელებმა შური ისევ ვერ იძიეს. არადა, მთელს ალბიონს გველის ნაკბენივით ახსოვს ამ თორმეტი წლის წინ მექსიკაში გამართული მსოფლიოს პირველობის მეოთხედფინალური შეხვედრა. მაშინ დიეგო მარადონამ ეგრეთ წოდებული „ღმერთის ხელით“ გატანილი გოლის წყალობით ანგარიში გახსნა და მართალია, იმავე მატჩში დიადმა არგენტინელმა ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო ბურთის შეგდებაც მოახერხა, ამას ინგლისელთათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი დღენიადაგ მარადონას უსამართლოდ გატანილ პირველ გოლს იხსენებენ და არგენტინელებს დაუძინებელ მტრებად თვლიან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ სამხრეთამერიკულ ნაკრებთან შეხვედრას მთელი ინგლისი მოუთმენლად ელოდა.

როგორც ბრიტანელთა მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადყო, გუშინწინ არგენტინა — ინგლისის მერვედფინალს 30 მილიონი ინგლისელი ადევნებდა თვალს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალბიონზე სულ სამოცი მილიონი კაცი ცხოვრობს, ადვილი მისახვედრი გახდება, თუ რას ნიშნავდა მათთვის ეს შეხვედრა. უამრავ ქომაგს შინ თუ ათასი ჯურის პაბებსა და კლუბებში მოეყარა თავი და ზღაპრული თამაშის მოლოდინში ადგილს ვერ პოულობდა. ზემოხსენებული „ღმერთის ხელის“ გარდა ამ ქვეყნებს კიდევ ერთი „ტკბილი მოგონება“ აკავშირებთ ერთმანეთთან. 1982 წელს არგენტინელებმა ინგლისის კუთვნილი ფალკლენდის კუნძულების მითვისება მოინდომეს და ბრიტანელებს ომი აუტეხეს. ოთხმოციანი წლების ეს ორი შემთხვევა მეტად მტკივნეულადაა აღბეჭდილი თითოეული ინგლისელის გულში და მათ არგენტინელთა ხსენებაზე არცთუ სასიამოვნო გრძნობები ეუფლებათ.

სამშაბათ საღამოს ინგლისის ქალაქების ქუჩები უჩვეულოდ დაცარიელებული გახლდათ. „ნეიშენელ გრიდის“ განცხადებით, როდესაც მატჩის შესვენებაზე ჩაის მოყვარულმა მოსახლეობამ თავიანთ სამზარეულოებში ჩაიდნებში წყლის ასადუღებლად ელექტროქურები ჩართო მთელს სახელმწიფოში ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელმა სარეკორდო დონეს მიაღწია. ბრიტანეთის ენერგეტიკის სამინისტროს ისტორიას თურმე აქამდე მხოლოდ სამჯერ ახსოვს ენერგიის ასეთი მკვეთრი ცვლილება.

თუმცა ინგლისელ ფანებს იმ დღეს სიხარული მაინც არ ეწერათ. დაახლოებით ორსაათნახევრის განმავლობაში ტელეეკრანებთან მიმსხდარი გულშემატკივრები საღამოს თერთმეტი საათისთვის მხოლოდ ტირილს თუ ახერხებდნენ და იძულებული იყვნენ, ახალბედა ოუენის კარგი თამაშითღა ენუგეშებინათ თავი.

არადა, შეხვედრა მათთვის თითქოს ურიგოდ არ დაიწყო. მართალია, მატჩის პირველივე წუთებზე გაბრიელ ბატისტუტამ თერთმეტმეტრიანი დარტყმით არგენტინელები წინ გაიყვანა, მაგრამ ინგლისელები მალე მოეგნენ გონს. 18 წლის მაიკ ოუენის თამაში ხომ ნამდვილი საოცრება გახლდათ. ამ ტანმორჩილ ბიჭს მთელი გასული სეზონის მანძილზე გოლები კი გაჰქონდა, მაგრამ, ალბათ, ვერავინ გაიხსენებს, ოუენი პრემიერლიგის რომელიმე მატჩში ამგვარად გარჯილიყოს. იგი არც ერთი წამით არ უშინდებოდა სახელგანთქმულ არგენტინელ მცველებთან პაექრობას. ის კი არა, ჯიქურ მიდიოდა თითოეულ ბურთზე და თავბრუდამხვევი სისწრაფით საგონებელში აგდებდა ხოსე შამოტსა და კომპანიას. ოუენმა ამ თამაშში იმ სკეპტიკოსი სპეციალისტების მოსაზრებებიც გააბითურა, რომლებიც წარამარა ირწმუნებოდნენ, ლივერპულელი კარგი ფეხბურთელი კია, მაგრამ ორივე ტაიმს ვერ გაუძლებს და ჰოდლიც ძირითად შემადგენლობაში სწორედ ამის გამო არ აყენებსო. მაიკმა ძირითადი დროის გარდა ორი დამატებითი ტაიმიც ითამაშა და არც თერთმეტმეტრიანების სერიაში შეურცხვენია თავი.

ისე, თუ შერცხვენაზე ვისაუბრებთ, ამ მხრივ ყველაზე ცუდად დევიდ ბექემს აქვს საქმე. მეორე ნახევარში, როცა 2:2 იყო და სრულიად თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, ამ ფეხბურთელმა ისეთი რამ ჩაიდინა რამაც მთლიანად შეცვალაე მატჩის სცენარი. 47-ე წუთზე ბექემს არგენტინელთა ნახევარმცველი დიეგო სიმეონე უხეშად ეთამაშა. ინგლისელი, იმის მაგივრად, რომ ფეხზე წამომდგარიყო და თამაში განეახლებინა, არასპორტულად მოიქცა და მოედნიდან გაძევებაც დაიმსახურა.

— ბექემმა ამ საქციელის გამო პასუხი უმკაცრესად უნდა აგოს. თუ თამაში არ სურდა, მაშინ მოედანზე საერთოდ არ უნდა გასულიყო. ინგლისის ნაკრები უპირატესობას ფლობდა და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებასაც მოვიპოვებდით, ამ ბიჭმა კი ყველაფერი აგვირია — განაცხადა მატჩის შემდეგ ინგლისელმა ფანმა მაიკ ბითიმ, რომელიც თამაშს სამხრეთლონდონის ერთ-ერთ პაბში ადევნებდა თვალს.



კემპბელი: თუ ჩემპიონობა გსურს, ყველას უნდა მოუგო...

— წაგება მთლიანად ბექემის ბრალია. მას ნერვები უნდა მოეთოკა, ანაც შეცვლაზე გასულიყო. ჩვენ მის გარეშეც ადვილად მოვიგებდით. ასე კი რა გამოვიდა, არც თვითონ ითამაშა და ნაკრებიც კაცნაკლული დატოვა — დაამატა ბითის მეგობარმა ნიკ პაუელმა.

— სიტყვები არ მყოფნის ჩემი გულისტკივილის გამოსახატად. ჩვენი ფეხბურთელები ისე კარგად ირჯებოდნენ, რომ ერთ მომენტში ისიც ვიფიქრე, უეჭველად გავიმარჯვებთ-მეთქი. თუმცა ბექემის საქციელმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. წაგების შემდეგ გონს ვერ მოვსულვარ და არც კი ვიცი, ამ მდგომარეობას როგორ დავაღწევ თავს — ესეც ერთ-ერთი დამწუხრებული ქომაგის სიტყვებია, რომელიც საყვარელი გუნდის მარცხს ისე გაეოგნებინა, რომ ცრემლებს ძლივს იკავებდა.

გრძნობა, რომელსაც თამაშის შემდეგ დასავლეთ ლონდონის პაბებსა და ბარეში დაესადგურებინა, იმედგაცრუება იყო.

— ასე საშინლად თავი არასოდეს მიგრძნია. დიდი იმედი გვქონდა, რომ თუ პენალტების სერიამდე გავძლებდით, იქ უკვე გამარჯვებას ხელიდან ვერავინ გამოგვგლეჯდა. როდესაც არგენტინელებმა პირველი თერთმეტმეტრიანი გააფუჭეს, თავი მეოთხედფინალშიც კი გვეგონა, მაგრამ მერე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც შემზარავ სიზმარში — მოთქვამდა ატი ალატანი. მის მეგობარს აბას ნოკასეშს კი არაფრის თქმის თავი არ ჰქონდა და ერთი და იმავე სიტყვებს ლუღლუღებდა: „ტკივილი, ეს საშინელი ტკივილია... ნეტავ რატომ მტკივა ყველაფერი ასე...“

ბრენ მაკდონალდმა კი თქვა, არგენტინელ ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, ისინი ხომ კარგად თამაშობდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვესო, მაგრამ უეცრად, თითქოს გამოფხიზლდაო დაამატა: ორად ორი რამ არსებობს ამქვეყნად, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება — არგენტინელები და ისევ არგენტინელები.

საგულისხმოა, რომ არგენტინა — ინგლისის თამაშმა ბრიტანელთა პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლეარის ყურადღებაც მიიპყრო. პატივცემული პირი თავის სამ შვილთან ერთად შინ, დაუნინგ სტრიტის №10-ში ადევნებდა თვალს მატჩის ტრანსლაციას. ის კი არა, შეხვედრის საცქერლად თვით დედოფალმა ელიზაბეტმა მოიცალა, რომელმაც ამ შემთხვევისთვის საღამოსთვის საგანგებოდ დანიშნული სადილიც კი გადადო.

**ირაკლი ხმელიძე**

---

# იავნანა პატარა ბატისტუტასთვის

ინგლისის ნაკრებთან მერვედფინალური მატჩის წინ არგენტინელთა ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდს გაბრიელ ბატისტუტას მესამე ვაჟიშვილი შეეძინა. ეს სიახლე იმდენად სასიხარულო გახლდათ აწ უკვე სამი ბიჭის მამისთვის, რომ „ბატიგოლი“ კიდევ უფრო დიდი გულისფანცქალით ელოდა ბრიტანელებთან შეხვედრის დაწყებას. მას ერთი სული ჰქონდა, ინგლისელ გოლკიპერ დევიდ სიმენის კარში გოლი შეეგდო და იგი ახალშობილი ხუაკინისთვის მიეძღვნა.

გახსოვთ, ალბათ, მსგავსი რამ 1994 წელს ამერიკაში გამართული მსოფლიოს პირველობის დროს ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ ბებეტოს შეემთხვა. მისმა მეუღლემაც, ირინა ბატისტუტას მსგავსად, ჩემპიონატის მსვლელობისას შვა ბავშვი და ბედნიერმა მამამ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მეტად თავისებურად აღნიშნა — ჰოლანდიელთა კარში გატანილი გოლის შემდეგ იგი მოედნის კიდისკენ გაიქცა და ყველას დასანახად ხელებით ისეთი მოძრაობები გააკეთა, თითქოს პატარა ბიჭუნას იავნანას უმღეროდა. ბებეტოს ორიგინალური საქციელი ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვდათ და ამიტომაც ინგლისელთა კარში გოლის გამტანი ბატისტუტას საქციელის შემხედვარეთ ყველას ოთხი წლის წინანდელი ბრაზილია — ჰოლანდიის მატჩი გაახსენდა. გატანილი გოლის შემდეგ არგენტინელმაც, ბებეტოს მსგავსად, იავნანა მიუძღვნა თავის პატარა ბიჭს.

საგულისხმოა, რომ ინგლისელთა გამამწარებელ ბატისტუტას წლევანდელ ჩემპიონატზე უკვე ხუთი გატანილი გოლი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით იგი აქამდე წინ გაჭრილ იტალიელ კრისტიან ვიერის დაეწია. თუმცა მატჩის შემდეგ უზომოდ გახარებულმა არგენტინელმა განაცხადა, რომ შეხვედრის წინ საერთოდ არ ფიქრობდა, ბომბარდირთა სიაში რომელი ადგილი ეჭირა.

— ორშაბათს მესამე შვილი შემეძინა და ამ ამბავმა უზომო სიხარული მომიტანა. მატჩის წინ ჩემს პატარა ხუაკინზე ვფიქრობდი და ის, რომ ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე ვიყავი, საერთოდ არ გამხსენებია. ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს ამ საღამოს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ — ინგლისური ბარიერი უნდა გადაგველახა. ხოლო იმას, თუ კონკრეტულად ვინ გაიტანდა გამარჯვების მომტან გოლს, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ბატისტუტამ მატჩის დასაწყისშივე მსაჯის მიერ ცოტა არ იყოს საეჭვო ვითარებაში დანიშნული პენალტი გოლად აქცია და თავისი ნაკრები დააწინაურა. თუმცა ინგლისელები დაცვაში ყოფნას სულაც არ აპირებდნენ და მთელი თამაშის განმავლობაში კარგა გვარიანად ანერვიულეს მეტოქეები.

აღსანიშნავია, რომ გუშინწინდელი მატჩის მოგებით არგენტინელებმა მოახერხეს იმ უარყოფითი სტატისტიკის გამოსწორება, რომელიც მათ აქამდე ბრიტანელებთან ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ სენტ ეტიენში შეხვედრამდე ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გამართულ შეხვედრებში სულ სამჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორჯერ გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ. სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების აქტიურობის ერთ-ერთი მიზეზი ეს მომენტიც გახლდათ. და ამიტომ პასარელას ქვეშევრდომებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მეტად ძლიერი მეტოქე დაემარცხებინათ.

თავად ბატისტუტა მატჩის მსვლელობისას გამოცვალეს და იგი ცოტა არ იყოს დაბნეული სახით გავიდა მოედნიდან. ზოგიერთ გულშემატკივარს ისიც კი მოეჩვენა, რომ ფეხბურთელი გუნდის ხელმძღვანელობაზე ნაწყენი იყო, მაგრამ როგორც ფორვარდმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ასეთი რამ გულშიც არ გაუვლია.

— ჩვენ გუნდში ოცდაორი სრულფასოვანი ფეხბურთელია, რომლებსაც უმაღლეს დონეზე თამაშის უნარი შესწევთ. ამიტომ არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობს იმას, რომ იგი შეუცვლელია. საერთოდ მინდა ყველამ იცოდეს, რომ არგენტინის ნაკრებში დიდი ერთსულოვნება სუფევს და მოთამაშეები ერთმანეთის მიმართ უდიდესი სიმპათიით არიან განმსჭვალულნი. ამიტომ ამ საღამოს ჩემს ნაცვლად კრესპოს გამოსვლა სრულიად ბუნებრივად აღვიქვი. უბრალოდ, პასარელას ტაქტიკური მონახაზის მიხედვით იმ მომენტში ერნანის მოედანზე გაყვანა ყველაზე მართებული იყო და ამისგან ტრაგედიის შექმნას ნამდვილად არ ვაპირებ. პირიქით, მთავარია, მწვრთნელის მიერ გაკეთებულმა შეცვლებმა შედეგი გამოიღო და ჩვენ გავიმარჯვეთ. მინდა განვაცხადო, რომ დღეს უბედნიერესი კაცი ვარ — მატჩის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტა აღტაცებული იყო.



ბატისტუტამ ინგლისელებთან გატანილი გოლი თავის ბიჭს უძღვნა

მოწყენის საბაბი მას ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს. არგენტინამ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ინგლისი დაამარცხა და ახლა შაბათს, მარსელში გასამართ მეოთხედფინალურ მატჩში ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდება.

დანიელ პასარელას მოსაზრება მეორე ტაიმში ბატისტუტას კრესპოთი შეცვლის თაობაზე ასეთი გახლდათ:

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. ერნანი ხომ უფრო ეგრეთ წოდებული მოხეტიალე ფორვარდია, რომელიც იქიდან ატყდება მეტოქის დაცვას, საიდანაც მისგან ყველაზე ნაკლებად ელიან. ბატისტუტა კლასიკური თავდამსხმელია და მისი მოედნიდან გაყვანა გარკვეულ რისკთანაც კი იყო დაკავშირებული, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა და მე ბედნიერი ვარ. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ გახურებული მატჩის დროს მწვრთნელის მიერ გაკეთებული ტაქტიკური ცვლილებები ყოველთვის არ ამართლებს. ზოგჯერ ყველაფერი კარგად მთავრდება, მაგრამ ისეც ხდება, რომ მეტოქე მონახაზებს წყალში გიყრის.

არგენტინის ნაკრების გულშემატკივრები პასარელასეულ გამონათქვამებს ალბათ დიდი გულისყურით ეკიდებიან, მაგრამ დღეს არა გვგონია, მათთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, თუ რა ტაქტიკური ცვლილება, როგორი ოფლის ფასად დაუჯდა მწვრთნელს. მთავარი ის არის, რომ არგენტინის ნაკრები მეოთხედფინალში ითამაშებს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**ირაკლი ხმელიძე**

## ჩემპიონატის დღიური

30 ივნისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

# ბომბარდირები — 2

### ოუენი — პატარა გენიოსი

— მაიკლი შესანიშნავი ბიჭია, კარგი ფეხბურთელია. კარგა ხანია, 18 წლის მოთამაშის ასეთი საზრიანი და ლამაზი თამაში აღარ მინახავს. თუ არ დაიზარა და საყვარელ საქმეს კვლავ მისდია, დარწმუნებული ვარ, ძალიან ძლიერი ფეხბურთელი დადგება. მას აქვს შანსი, ვარსკვლავი გახდეს, თუ რა თქმა უნდა, არ იზარმაცებს. იგი ჯერ ციმციმებს, იმედია, ორ-სამ წელიწადში აკაშკაშდება კიდეც — ეს სიტყვები ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს სერ ბობი ჩარლტონს ეკუთვნის. სამშაბათს ბობი ჩარლტონი სენტ ეტიენში გახლდათ. თანამემამულეთა არგენტინელებთან ზეობის იმედი ჰქონდა, მაგრამ მოლოდინმა არ გაამართლა. კვლავ ავადსახსენებელი პენალტები...

რატომ ვახსენე მაიკლ ოუენი? ერთი უბრალო მიზეზის გამო — ამ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მერვედფინალში, არგენტინა — ინგლისს შორის, 18 წლის ბიჭს ანდეს ძირითადში ადგილი, ეგეც არ იყოს, მაიკლმა მართლაც ძლიერად ითამაშა, ულამაზესი გოლიც გაიტანა და პენალტსაც გამოჰკრა ხელი. ოუენი ინგლისელთა შორის უძლიერესი გახლდათ. ამაზე, ვფიქრობ, ორი აზრი არ არსებობს.

— მაიკლი? მან ბრწყინვალედ ითამაშა. იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე მისგან მოელოდნენ. ინგლისს უნიჭიერესი თავდამსხმელი ეზრდება, უძლიერესი ბომბარდირი. სამწუხაროა, რომ მის თამაშს ამ მსოფლიოს ჩემპიონატში ველარ ვიხილავთ. საერთოდ, ძალიან საწყენია, რომ ინგლისი ჩემპიონატს დაემშვიდობა — როგორც ჩანს, მაიკლ ოუენი ვეტერან ფეხბურთელებში დიდი სიმპათიით სარგებლობს. ზემოთქმული ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს სიტყვებია.

ეს ვეტერანები, მაგრამ თანამედროვენი? ოუენს არც ახლანდელებისგან აკლია ქება. ხშირია შემთხვევები, როცა ქება ადამიანს სწყინს. ვერ გეტყვით, ეს გაითვალისწინა თუ არა, მაგრამ ინგლისელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა ოუენის მიმართ საკმაოდ სიტყვაძუნწად ისაუბრა.

— კარგი მოთამაშეა. გოლების გატანა ეხერხება. ეს ბურთიც საკმაოდ კარგი გახლდათ, მაგრამ ერთი დარტყმისთვის ცაში არავინ აუსროლიათ. მაიკლს ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი.

მართლაც, ოუენმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ღირსეულად ითვლება ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად. ბობი ჩარლტონისა არ იყოს, თუ არ იზარმაცა, მაიკლი მართლაც გახდება ვარსკვლავი, თუმცა ჯერჯერობით იგი მაინც მხოლოდ კარგ თავდამსხმელად რჩება...

1997 წლის გაზაფხულზე, პრემიერლიგის მორიგი სეზონი რომ იწურებოდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე ხელჩაქნეულმა „ლივერპულმა“ მაშინ ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი მაიკლ ოუენის საქმეში ნახვა გადაწყვიტა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — „ლივერპულში“ ოუენმა დებიუტი გოლით აღნიშნა. ის სეზონი მალევე დამთავრდა, ბოლო ჩემპიონატში კი 17 წლის თავდამსხმელმა გაიბრწყინა. გარდა იმისა, რომ იგი პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მან საუკეთესო ახალგაზრდისა და საუკეთესო დებიუტანტის პრიზებიც მიიღო. მართლია, „ლივერპული“ ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ განა ამით ბევრი რამ დაშავდა? წინ მორიგი ჩემპიონატია, იმედებით აღსავსე სეზონი.

ოუენის ნაკრებში გამოძახება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, ფეხბურთელი სათანადოდ ირჯებოდეს, თორემ გინდ 16-ის იყოს, გინდ — 40-ის.

— მაშინ, როცა ნაკრებში გამომიძახეს, თავი სიზმარში მეგონა. ჩილელებთან თამაშის წინა დღეს არც მიძინია, ძალიან, ძალიან ვნერვიულობდი. სამწუხაროდ, ის თამაში წავაგეთ, მაგრამ მარცხიც კი ჩემთვის ტკბილ მოგონებად დარჩა — ხუმრობა ხომ არაა, 18 წლისამ ქვეყნის პირველი გუნდის მაისური მოვირგე! — ის, რომ ყმაწვილკაცმა ნაკრებში პირველი თამაშის წინ ვერ დაიძინა, გასაკვირი სულაც არაა. სხვათა შორის, მაიკლ ოუენი უმრწემესი ინგლისელი ფეხბურთელია, რომელსაც ნაკრებში უთამაშია. მანამდე რეკორდი მიუნხენის ცნობილ ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპულ დანკან ედვარდსს ეკუთვნოდა.

სადებიუტო მატჩში, პრესა ოუენის თამაშს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად გამოეხმაურა. კაცმა რომ თქვას, გადასარევი ლივერპულელს ჩილელებთან არაფერი ჩაუდენია, სამაგიეროდ ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუ ინგლისელი ჟურნალისტები ნაკრების რომელიმე მოთამაშეს აქებდნენ, მაიკლ ოუენი ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ.

„პატარა გენიოსი ინგლისიდან. მალე ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი აკიაფდება — მაიკლ ოუენი!“ — „დეილი მეილის“ აზრი პატარა ლივერპულელზე, ვფიქრობთ, ყველასთვის გასაგებია. არც სხვა გაზეთები იშურებდნენ ოუენის მიმართ საქებარ სიტყვებს.

...არგენტინასთან მაიკლმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა. გამოცდილი სამხრეთამერიკელი მცველები თუ ვინმეს უფრთხოდნენ, უპირველესად ალბათ ამ პატარა, სამაგიეროდ უდიდესი გაქანების ფორვარდს. ახლა გვიანია იმაზე საუბარი, უნდა დაენიშნა თუ არა მსაჯს როას კარში პენალტი ოუენის წაქცევისთვის. მართალია, პენალტი საეჭვო იყო, მაგრამ დაინიშნა და მორჩა. თუ ინგლისელთა პირველი გოლი ასე თუ ისე საეჭვო გახლდათ, მეორე ბურთი, თავად მაიკლმა რომ შეაგდო, თვალწარმტაცი გამოდგა — ულამაზესად მიღებული ბურთი, გზად ჩამოტოვებული ორი ახოვანი არგენტინელი, უძლიერესად დარტყმული, წამის შემდეგ კი როას კარში დაბზრიალებული ბურთი. გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა.

მაიკლ ოუენი კარგი ფეხბურთელია, ძლიერებამდე კი ბევრი არ უკლია. 18 წლის ასაკში მისი დონისთვის კარგა ხანია, არავის მიუღწევია.

### მამა გაბრიელი

1997 წლის გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალის წინ, როცა „იუვენტუსი“ „დორტმუნდს“ უნდა შეხვედროდა, იტალიური გუნდის კარის დარაჯი ანჯელო პერუცი მამა გახდა — მას გოგონა შეეძინა. მაშინ პერუცი ორი დღის განმავლობაში გერმანიიდან იტალიაში ოთხჯერ წავიდ-წამოვიდა, მოგზაურობით გადაღლილმა კი ფინალში ცუდად ითამაშა და „იუვენტუსიც“ დამარცხდა. მატჩის შემდეგ პერუციმ აღიარა კიდეც, მამობამ ძლიერ გამახარა, მატჩისთვის სათანადოდ კონცენტრირებული არ ვიყავიო.

ახლა, ინგლის-არგენტინის შეხვედრამდეც თითქმის იგივე განმეორდა — არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას მესამე ვაჟი შეეძინა. გახარებულმა მამამ კი მართალია, გოლიც გაუტანა სიმენს, მაგრამ სათანადო დონეზე რომ ვერ ითამაშა, ეს თვალნათლივ ჩანდა. იქნებ მამობის ბრალი იყო, იქნებ სხვა რამის, მაგრამ ფაქტი ერთია, გაბრიელი გადაღლილი ჩანდა.

— ბატისტუტას ეს მატჩი აშკარად ჩაუვარდა. ვერ გეტყვით, რის გამო, მაგრამ იგი სათანადოდ ვერ ირჯებოდა — არგენტინელთა თავკაცი დანიელ პასარელა გუნდის ლიდერის თამაშით უკმაყოფილო გახლდათ.

ერთი სიტყვით, ბატისტუტამ ინგლისთან მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ პირველ წუთებში შეგდებული პენალტით ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერ კრისტიან ვიერის წამოეწია.

ერთი ჩაგდებული მატჩის გამო განა შეიძლება, ბატისტუტასნაირ ფორვარდს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხო? ვფიქრობ, არა.

ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე მას ბომბარდირობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად მიიჩნევდნენ. ყველაფერი გუნდეა დამოკიდებული — რაც უფრო შორს წავა არგენტინა, ბატისტუტაც მეტ გოლს შეაგდებს. ჯერჯერობით თავდამსხმელმა 4 თამაშში 5 გოლი გაიტანა. ეს კი ურიგო შედეგი სულაც არ გახლავთ. თუ ბატისტუტას ბრწყინვალე თავდამსხმელობას გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ იქნება, მან მონაგარი კიდევ უფრო გაზარდოს. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც არგენტინელმა მარიო კემპესმა 6 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა, შემდგომი ჩემპიონატების სნაიპერებს ამაზე მეტი ბურთი არ გააქვთ. იმედია, ახლა, საფრანგეთში ოცი წლის ტრადიცია დაირღვევა.

— არგენტინა ნამდვილად კარგი გუნდია, ჩვენ შეგვწევს უნარი, მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგოთ. მართალია გაგვიჭირდება, მაგრამ გული მიგრძნობს, ასე მოხდება. რაც შეეხება ჩემს ბომბარდირობას, ცხადია, ძალიან გამიხარდება, „ოქროს ბუცს“ თუ დავისაკუთრებ, მაგრამ მთავარი მაინც მსოფლიოს ჩემპიონობაა. ინგლისთან ეს მატჩიც იმის დასტურია, რომ ჩვენ ნამდვილად ის გუნდი ვართ, რომელსაც წარმატების მიღწევა შეუძლია — ბოლო მერვედფინალის მატჩისშემდგომი ეს სიტყვები სწორედ ბატისტუტას ეკუთვნის. სხვათა შორის, მას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე დღესდღეობით 9 გოლი აქვს შეგდებული, ეს კი მას შანსს უტოვებს, ყველა დროის ბომბარდირთა შორის დაიკავოს ღირსეული ადგილი.

— რა გითხრათ, იგი ბრწყინვალე თავდამსხმელია. ნამდვილი გოლეადორი. მარტო იტალიის ჩემპიონატში გატანილი უამრავი ბურთი მიუთითებს იმაზე, რომ ბატისტუტა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ნაკრებშიც შესანიშნავად თამაშობს და თუ არგენტინამ მეოთხედფინალს უწია, ამაში მის გოლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის — არგენტინელთა კაპიტანი დიეგო სიმეონე თანაგუნდელზე და, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო მეგობარზე ამგვარი აზრისაა. ვერაფერს იტყვი, სრული სიმართლეა.

...1994-ში არგენტინას, მართლაც ბრწყინვალე გუნდს, არ დასცალდა, თორემ ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი რომ იქნებოდა, ამას თქმა არ უნდა. ახლა პასარელას ნაკრები მეოთხედფინალშია, იქ, სადაც აგერ უკვე რვა წელია, არ ყოფილა. მეტოქედ ჰოლანდიის საკმაოდ საზიფათო გუნდი ჰყავს, რომელიც თავის მხრივ მეოთხედფინალში ოთხი წლის წინაც ყოფილა.

### ორი მატად-ორი

ერთსაც „ელ მატადორს“ ეძახიან და მეორესაც. თუმცა ერთი ჩილელია, მეორე კი მექსიკელი. პირობითად პირველის სახელი მარსელო სალასია, მეორისა კი ლუის ერნანდესი. ორივემ უკვე დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, თუმცა მიუხედავად ტურნირს ნაადრევად გამოთიშვისა, ისინი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის უდავოდ ნათელ მოგონებად დარჩნენ — სალასმაც და ერნანდესმაც ოთხ-ოთხი ბურთის გატანა მოახერხეს, ეს კი ურიგო შედეგი არ გახლავთ.

მსოფლიოს ჩემპიონატი სალასის ჩილემ და ერნანდესის მექსიკამ მერვედფინალში დაასრულეს. თავდამსხმელებიც ოთხ-ოთხი გოლით დაემშვიდობნენ ჩემპიონატს. საინტერესოა, სამუდამოდ, თუ მხოლოდ ოთხი წლით? ცოტაც, სულ რაღაც ოთხი წელიც მოვიცადოთ. 2002-ში, მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატზე ამ კითხვასაც გაეცემა პასუხი.



ერთ-ერთი ორ მატადორთაგან — ჩილელთა გოლეადორი მარსელო სალასი




მაიკლ ოუენის ვარსკვლავი ჯერ მხოლოდ ციმციმებს. ამბობენ, ორ-სამ წელიწადში აკაშკაშდებაო



ბატისტუტა — სამი ბიჭის და უამრავი გოლის მშობელი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ინგლისელებმა მართლაც რომ ვაჟკაცურად, შესაშური მობილიზაციით, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების მაქსიმალური ხარჯვით საქმე პენალტებამდე მიიყვანეს. ვუყურებდი ათი კაცის თავგანწირვას და მჯეროდა, ისინი მარტო თავისთვის არ იბრძოდნენ, არც მარტო ფულისთვის. ნამდვილი მებრძოლები იყვნენ და კაცურად იბრძოდნენ!

არ ვიცი, ინგლისელის გაძევების რა ვარიანტებზე ილაპარაკებს პრესა, რა ინტერპრეტაციას მისცემს მას თვით დანიელი მსაჯი (ან თუ მისცემს საერთოდ). მე კი მგონია, რომ ამ რანგისა და მნიშვნელობის მატჩში ფეხბურთელის გაძევების მოტივაცია უფრო მყარი და საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო. აბა, გავიხსენოთ რა მოხდა. მოედნის ცენტრში ბურთისთვის ბრძოლაში უხეშობს არგენტინელთა კაპიტანი დიეგო სიმეონე და ინგლისელთა მე-7 ნომერი მიწაზეა. მსაჯი აჩერებს თამაშს. დევიდი გაზონზეა, დიეგო ფეხზე დგას. ამ მდგომარეობაში, როგორც „ეკიპში" გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, წაქცეულმა ინგლისელმა ფეხი მოუქნია არგენტინელს. მსაჯი იქვე იდგა. ერთს ყვითელი, მეორეს კი უცებ წითელი ბარათი. განა მარტო ეს იყო ყველაფერი? ვფიქრობ, ფეხის მოქნევა იმ ტკივილზე რეაქცია უფრო იყო, თვით ინგლისელს რომ მიაყენეს, თორემ ასეთ მდგომარეობაში მოქნეული ფეხი სიმეონეს არავითარ საფრთხეს არ შეუქმნიდა. რა მოხდა იქ? იქნებ ნერვებაშლილმა დევიდმა ერთი ინგლისური სიტყვა იხმარა, რომელიც ასო F-ზე იწყება და იმედოვნებდა, რომ დანიელს ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ეცოდინებოდა? სულაც არ ვაპირებ ინგლისელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის გამართლებას, მსგავსი საქციელი არავის ეპატიება. მაგრამ როგორც „მონდი" წერს, ასე განსაკუთრებულად ბექემის დასჯა სხვისთვის მაგალითის მისაცემად ხომ არ გაკეთდაო. ისე, სპორტსმენის ამ საქციელის გამო პრესა ცალსახად აღნიშნავს — მისმა გაძევებამ განაპირობა ინგლისელთა ტრაგედია, სწორედ აქედან გამომდინარე შეფასდა მისი თამაში სამიანზე და „სრული იმედგაცრუება" ეწოდა.

მოკლედ, ნილსენმა ისედაც უკეთეს შანსიანად მიჩნეულ არგენტინელებს კიდევ ერთი დამატებითი შანსი მისცა მოსაგებად. და მეორე ტაიმის ბოლოს ინგლისელთა მიერ გატანილი და არჩათვლილი ბურთი. სწორედ ამ მომენტების გათვალისწინებთ არ მეჩვენება არგენტინელთა გამარჯვება სრულფასოვნად, თორემ პასარელას რომ კარგი გუნდი ჰყავს, ეს ყველამ ვიცით; ისიც ვიცით, რომ მათ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ხელეწიფება.

უკვე ვთქვი და ვიმეორებ, რომ ინტერესი ამ მატჩისადმი უდიდესი იყო. შავ ბაზარზე ბილეთის ფასი 700-800 ამერიკულ დოლარამდე ავარდა, მატჩის სანახავად მოსული 36 ათასი მაყურებლიდან 15 ათასი ბრიტანელი და 12 ათასი არგენტინელი იყო. ქუთაისზე ოდნავ დიდი სენტ ეტიენის ხელმძღვანელობამ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო — ქალაქში დამატებით შემოიყვანეს 2000-მდე სპეცრაზმელები, რომლებიც გაწვრთნილნი არიან კრიმინალურ დანაშაულთან ბრძოლაში. სირთულეები იყო ტრანსპორტის მხრივაც. თვით სენტ ეტიენი საფრანგეთში პირველი ქალაქია, სადაც ჯერ კიდევ 1827 წელს გაიყვანეს რკინიგზა. სწორედ ამ ტრანსპორტით მიედინებოდა მაყურებელთა ნაკადი ქალაქში. სწორედ ისე ვიმგზავრე ლიონიდან სენტ ეტიენში, ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის მეტროსთვის რომ იყო დამახასიათებელი — ფაქტიურად, ჰაერში ვიყავი ჩამოკიდებული. მატჩისადმი ჟურნალისტთა ინტერესს ნულარ იკითხავთ — ყველა თითქოს აქ ჩამოვიდა, ყველა მათგანი რაღაც განსაკუთრებულს ელოდა, რაც მართალია, მართალია, პროფესიონალიზმთან ერთად ამ ხალხს ინტუიციას ვერ დაუწუნებ. მე ყურად არ ვიღე კოლეგების რჩევა — კომპიუტერში შეამოწმე, თუ სიაში არ ხარ, ტყუილად ამოდენა გზა არ გაიარო, იქ ვერაფერს მიაღწევო. კომპიუტერში ჩემი გვარი დაფიქსირებული არ იყო — თხოვნა არ გაითვალისწინეს, მაგრამ მაინც გავრისკე. თითქოს თამაშზე მოხვედრის შანსი არ იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მხოლოდ ესაა, ათი წუთის დაგვიანებით...

...ეს სტრიქონები იწერება უკვე პარიზში, მთავარ პრესცენტრში. დიდ ეკრანზე განმეორებით უჩვენებენ გუშინდელ მატჩს. გარშემო სულ არგენტინელი ჟურნალისტები არიან. კარგად ჩანს, რომ ინგლისელთა მეკარე არ შეხებია არგენტინელს — ამ უკანასკნელს მხოლოდ ფეხი ჩაეხლართა დევიდ სიმენის ლაჯებში. ასევე საეჭვო შთაბეჭდილება დატოვა ოუენის წაქცევისთვის დანიშნულმა პენალტმაც. აქ ჩემი სამხრეთამერიკელი კოლეგები ერთსულოვანნი იყვნენ.

მატჩის წინ პრესა აჭრელებული იყო მწვრთნელებისა და ფეხბურთელების გამონათქვამებით. მაიკლ ოუენი ამბობდა, რომ ჩვენ რევანში უნდა ავიღოთ 1986 წელს მექსიკაში დამარცხებისთვის. მაშინ პატარა ვიყავი და მაინც მახსოვს დიეგო მარადონას გოლი. ძნელი მატჩი გველის, მაგრამ მე გული კარგ ამბავს მიგრძნობსო. პოლ ინსი: „ჩვენ მატჩიდან მატჩამდე ვუმატებთ, ჩვენი გუნდის დაცვა საიმედოა, კარი მაგრადაა ჩარაზული. წაგების უფლება არ გვაქვს". ერნან კრესპო: „ინგლისი ყოველთვის პოტენციურად საპრიზო გუნდია. არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. თუ რუმინეთს შეუძლია დაამარცხოს ისინი — ჩვენ რა ღმერთი უნდა გაგვიწყრეს." დანიელ პასარელა: „ჰოდლი ნიჭიერი მწვრთნელია და კარგი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენი სტილი სხვადასხვაა. არგენტინელები ვერ ითამაშებენ ისე, როგორც 1986 წელს — დღეს ჩვენს რიგებში არაა დიეგო მარადონა, მაგრამ მოწინააღმდეგეს ბრძოლის ახალ, ორიგინალურ ვერსიას შევთავაზებთ. ისე, რომ იცოდეთ, ჩვენ ეგრეთწოდებული კლასიკური ფეხბურთის თამაშიც შეგვიძლია."

სტილის შეუთავსებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ არგეტინის ნაკრების 15 ფეხბურთელი ლეგიონერია, ყველა ევროპაში თამაშობს, მაგრამ არც ერთი ინგლისში. იტალიაში, კი ბატონო (10 კაცი), ესპანეთში, კი ბატონო, შვეიცარიაში — კი ბატონო. ინგლისში და გერმანიაში კი არა.

რომელი მომენტი შეიძლება გამოიყოს მატჩში? ბევრზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, მაგრამ უნდა გავიხსენოთ ლივერპულელი თინეიჯერის, მოედანზე ყველაზე მსუბუქი (64 კგ) და საშუალო სიმაღლის ამომავალი ვარსკვლავის მაიკლ ოუენის 45 მეტრიანი რეიდი და გოლი არგენტინელთა კარში. სხვათა შორის, მას შეეძლო მატჩის ბედის ინგლისელთა სასარგებლოდ გადაწყვეტა — შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან ძირითადი დროის მიწურულს. შევნიშნე, ოუენი იყო ერთადერთი ინგლისელთა შორის, ცრემლი რომ სდიოდა. „ეკიპმა" ყველაზე მაღალი — 8,5 ქულა მისცა ჭაბუკის თამაშს ამ მატჩში.

...ისევ ეკრანი და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, ბექემის გაძევება პროვოცირებული რომ იყო. როგორც კი უხეში თამაშისთვის მსაჯმა სიმეონეს ყვითელი ამოუღო, რატომღაც, არამკითხე მოამბესავით მასთან მე-7 ნომერიც მივიდა, რაღაც უთხრა და დანიელმაც არ დაახანა, მოედანი დაატოვებინა.

ვუბრუნდები სტადიონს, რომელიც 120 წუთის მანძილზე გუგუნებდა გაუჩერებლივ, იყო დოლებისა და სხვა ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძლებლობაბთა მაქსიმალური დემონსტრირება, ღრიალი, ყვირილი, დროშების ფრიალი, ერთი-ორჯერ მოედანზე ბოთლების სროლაც.

თვით მოედანზე კი საოცარ თამაშს აჩვენებდნენ პოლ ინსი და არიელ ორტეგა, ხავიერ ძანეტი და სოლ კემპბელი, ალან შირერი და ნელსონ ვივასი, სხვები და სხვები. მეორე გოლის გატანისას პასარელას შეგირდებმა ქრესთომატიულად „დააკარგვინეს" ჯარიმის შესრულების წინ ინგლისელებს ძანეტი, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. ვნახეთ დაცვის ფუნქციების შესრულების შესაძლებლობანი — შირერისა და ოუენის, ვნახეთ მეორე ტაიმის შუაში როგორ დაატოვებინა მწვრთნელმა მოედანი გოლის ავტორს — თვით ბატისტუტას. პრესკონფერენციაზე დ. პასარელა იტყვის — ტაქტიკური მოსაზრებით გავაკეთეო. თვით ფეხბურთელიც სრულიად მშვიდად, ღიმილით ამბობს — ჩემი გამოცვლით ტრაგედია რატომ იქმნებაო...

მოკლედ, მატჩი, რომელიც „ეკიპმა" ოთხი ვარსკვლავით შეაფასა, ნამდვილ ჩაროზად მოგვევლინა მერვედფინალების ფინიშზე ათიათასობით სტადიონზე მისულთ და მილიონობით ტელემაყურებელს, რომელთა შორის ყველა რანგისა და წოდების, ყველა ასაკის წარმომადგენელნი იყვნენ — ინგლისის სამეფო ოჯახის წევრებით დაწყებული და რიგითი მოკვდავით დამთავრებული. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი კი თავის რეზიდენციაში, დაუნინგ სტრიტზე, შვილებთან ერთად უცქეროდა ინგლისელთათვის გამოსათხოვარ ამ მატჩს.

მაშ ასე. ცოტაც და დაიწყება მესამე რაუნდი. დღეს საფრანგეთი მხოლოდ ერთი მატჩის მოლოდინშია, მხოლოდ ერთ მატჩზეა საუბარი, მხოლოდ ამ მატჩის თაობაზე წერენ — მხოლოდ საფრანგეთი და იტალია აკერია პირზე ყველას...

თქვენმა კორესპონდენტმა კი მგონი რეკორდი დაამყარა — ხუთ დღეში საფრანგეთის ხუთ სხვადასხვა ქალაქში ხუთ მატჩზე დასწრება მოახერხა, საერთო ჯამში მატარებელში დაჰყო 35 საათზე მეტი და განვლო ხუთიათასამდე კილომეტრი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ორდღიანი შესვენებაა. ჩვენც შევისვენოთ ფეხბურთისგან ორიოდ დღე.

თუ ეს საერთოდ შესაძლებელია და ჩვენ ძალებს არ აღემატება.

# ეს იყო ფინალი!

სარბიელის არქივიდან



არგენტინელთა უსაზღვრო სიხარული — ინგლისი პენალტებით წაიქცა


# სარბიელი

**სპორტული ლატარია "CROCO"**

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

**მსოფლიოს ჩემპიონატი.** მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ივლისი | | | |
| საფრანგეთი — იტალია | (1,7-1,7) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბრაზილია — დანია | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 4 ივლისი | | | |
| გერმანია — ხორვატია | (1,2-3,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| არგენტინა — ჰოლანდია | (1,4-2,3) | 1,8 | 2,9 | 3,8 |

| | ჩემპიონი (ფინალისტი) |
|---|---|
| ბრაზილია | 3,0 (1,5) |
| არგენტინა | 4,0 (2,0) |
| გერმანია | 4,0 (2,0) |
| საფრანგეთი | 4,0 (2,0) |
| იტალია | 4,0 (2,0) |
| ჰოლანდია | 6,0 (3,0) |
| ხორვატია | 8,0 (4,0) |
| დანია | 10,0 (5,0) |

პირველი ტაიმი/სამოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მეტანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# მშვიდობით, იარაღო!

FRANCE 98

რა თქმა უნდა, შემეძლო სხვაგვარად დამეწყო ეს სვეტი. ასე ვთქვათ, აკადემიურად და რამერუმეები მიმომეხილა მშვიდად და წყნარად, მაგრამ ეს ტყუილი იქნებოდა. იმიტომ, რომ ყველა ჩემი მეგობარი, ამხანაგი თუ ნაცნობი მეტყოდა, ტყუილები დაგიწყია, ვერ გვაჭმევ, სინამდვილეში სხვაგვარად ფიქრობო. ასეთ შემთხვევაში თავს იმით გავიმართლებდი, რომ გაზეთი საკუთარი ემოციების ფრქვევის ადგილი არ არის. მაგრამ უფერულ ტყუილს მაინც ვერაფერი შეცვლიდა. აბა, რომელი ბრაიან გლენვილი და საიმონ კუპერი მე ვარ, რომ ჩემი საფეხბურთო განსჯანი თვალშეუდგამი და თავად ფეხბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყოს?

სვეტსა ვწერ. ამ სვეტით ცოტათი თუ გაერთობა კაცი და თუ მავანი ყმაწვილი მისთვის უცნობ საფეხბურთო ამბავს ამოკითხავს, ანაც საინტერესო ფოტოს ნახავს, მესვეტეს მეტი არც არაფერი უნდა.

ამიტომ, რასაც ვფიქრობ, მიუკიბმოუკიბავად მოგახსენებთ.

ქვეყნად ორი საყვარელი ნაკრები მყავს, ინგლისისა და არგენტინის. არ დავმალავ, ინგლისს განსაკუთრებულად ვქომაგობ ხოლმე. თუმცა, არგენტინასაც ასევე განსაკუთრებულად, თუ რა თქმა უნდა, ინგლისს არ ეთამაშება. ეს რა წყვილიაო, იკითხავს ვინმე და ვეტყვი, რომ არ ვიცი რა წყვილია და ასე გამოვიდა. თუმცა, უარესებიც მინახავს. ერთ ჩემს ძმაბიჭ საფეხბურთო ჟურნალისტს ინგლისელმა საფეხბურთო მწერალმა ჰკითხა, საერთაშორისო ფეხბურთში ვის გულშემატკივრობო და ამან უთხრა, ბრაზილიას და გერმანიასო. უჰო, გადაირია ინგლისელი, „ურჩხული და მზეთუნახავი" როგორ დააწყვილეო. ისე, თავადაც კარგა გვარიანად ახირებული ვინმე იყო, ჰოლანდიას ემხრობოდა და ინგლისს რომ ჰოლანდიელები დაენგრია ევრო 96-ზე, მძიმე დღეში ჩავარდნილა.

ასე რომ, ქომაგისას, გამორჩევით კი საერთაშორისო ფეხბურთში, ვერაფერს გაიგებ.

და გამოვიდა ისე, რომ ინგლისი და არგენტინა კვლავ დაეჯახნენ ერთმანეთს. ეს ინგლისელთა ბრალი იყო. ასე თამაში რომ შეგიძლია, ადრიან ილიეს არ უნდა ათქმევინო, მართლა 33 მილიონი ვღირვარო.

გამოვიდა ისე, რომ ინგლისმა კვლავ წააგო. ინგლისის ნაკრები კი აგერ მერვე წელიწადი მთავრდება და მესამე უდიდესი შეჯიბრება იწურება, ტრაგიკომიკურ სიტუაციაშია ჩავარდნილი.

რას ვხედავთ ჩვენ?

ჩვენ ვხედავთ ნირწამხდარ ფეხბურთელს, რომელთანაც ძირითადად ტონი ადამსი მიდის და ამშვიდებს, არაუშავს, მართალია წავაგეთ, მაგრამ კარგ ბიჭებად რჩებით, არ იფიქრო იმაზე, რომ ჩვენ შინ მივემგზავრებით, ჩემპიონობისთვის კი სხვა იბრძოლებსო. თუმცა, არა, ვცდები, 1990 წელს ტონი ადამსი ინგლისელთა გუნდში არ იყო, ორი წლით ადრე ისე წაახდინა მარკო ვან ბასტენმა, რომ მინდორზე ვინღა გამოიყვანდა. დანარჩენი კი ყველაფერი სწორია.

შესაკვეთია დიდი ჩარჩოები, რომლებშიც ჩაისხმევა სტიუარტ პირსის, გარეთ საუთგეიტისა და დეივიდ ბეტის ფოტოები. ეს სურათები ყველა ინგლისელ ფეხბურთელს საწოლის თავთან უნდა ეკიდოს. გაიღვიძებს, შეხედავს და იფიქრებს: „არ დაემსგავსო ამათ". ასევე შეიძლება ქრის უოდლისა და პოლ ინსის მომცრო ფოტოების გამოყენებაც. თორემ ისე გამოდის, რომ სანამ ფეხბურთში მატჩისშემდგომი პენალტები არსებობს, ინგლისის ნაკრები, გაზათი, თუ გაზას გარეშე, ვერანაირ ტიტულს ვერ მოიგებს.

მთელი კვირა, წინასამატჩო ამბებს რომ მიმოვიხილავდით ამ ჩვენს გაზეთში, ორჯერ ვახსენეთ დიდი არგენტინელი მწვრთნელი ოსვალდო სუბელდია. ფეხბურთის ამ მეფისტოფელის სული 30 ივნისსაც ტრიალებდა სენტ-ეტიენის მინდორზე. ოღონდ, ცოტა სხვანაირად. დევიდ ბექემი სწორედ იმგვარი ილეთის გამო დაისაჯა, სენიორ ოსვალდო რომ იგონებდა თავისი ფეხბურთელებისთვის ამ ოცდაათი წლის წინათ. მაგრამ, როგორც იტყვიან, მწყერიო და ხეო — აბა ბექემი რომელი ლა პლატელი ბიჭია, რომ ეშმაკური ხულიგნობა გამოუვიდეს? სულელი ბიჭია. სულელი. თუმცა, მაჟიც არ იყო მთლად დალაგებული ვინმე. თუმცა, დღევანდელ ფეხბურთში მსაჯზე წუწუნს აზრი არა აქვს. ან რა წუწუნი აგიტყდა ასეთი ბიჭების პატრონს.

ჩემი ძმაბიჭი (ქალაქელი კაცი) სულ დამცინის, შენაო, ფაშისტი ხარ ფეხბურთშიო, შენ გინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სულ ინგლისი და არგენტინა თამაშობდეს, მატჩი ფრედ დამთავრდეს და ორივე ჩემპიონად გამოცხადდესო. ეგეთი რამე არასდროს მითქვამს-მეთქი, არ მეზარება გამეორება. როგორ არაო, რვა წლის წინანდელ ჩემპიონატზე ამბობდი ეგრეო. არ ვამბობდი. არ ვამბობდი, მაგრამ სწორი კი ვყოფილვარ.

ფრეც დამთავრდა, ფინალზეც არაფრით იყო ნაკლები.

და მაინც, მე მინდოდა, რომ ინგლისს მოეგო.



სერ სტენლი მეტიუზი არასოდეს ყოფილა რაიმეს ჩემპიონი. მისი ერთადერთი ტიტული ინგლისის თასის ფლობა იყო. დღევანდელი ინგლისელები ამაშიც დიდ „ფინტების მეფეს" ჩამოჰგვანან.

და ინგლისმა, რა თქმა უნდა, ვერ მოიგო. ასეთია ტრადიცია. ტრადიციაა, აბა რა? თუმცა, ამის გამო უკვე ვილაპარაკეთ. უბრალოდ, მე მივხვდი, რომ დღანან სტადიონზე მისული ქომაგები ფეხზე. ასეთი რამეც პირველად დამემართა და საერთოდ, მე მივხვდი, რატომ არის ინგლისი დიდი სულის ქვეყანა. სპორტული სულის გამო არ ვამბობ, ასეთით, არგენტინაც მოიწონებს თავს. უბრალოდ, მე მივხვდი, რატომ იყო ბომბეი, ჰონგ კონგი და კინგსტონი ინგლისური ქალაქები და რატომ უშენდა ფრენსის დრეიკი რიოაჩას ზარბაზნებს. უფრო სწორად, კი არ მივხვდი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

არგენტინული ფეხბურთი დიადი ფეხბურთია. არგენტინულ ფეხბურთს აქვს საოცარი ხიბლი. ის ვაჟკაცობის, მოხერხებულობის და უტეხობის ფეხბურთია. მაგრამ არც ერთ ბუენოსაირესულ კაფეში არ მოუგონიათ ფეხბურთს. ფეხბურთის წესებს ვერავინ შეადგენდა ინგლისელთა გარდა. რომც შეედგინა, რომელიმე ბაირესელ ადვოკატს, ვთქვათ, ველეს სარსფილდს ეს წესები, ფეხბურთი არ იქნებოდა საერთაშორისო თამაში, ისევე, როგორც როდეო და მამლების ჩხუბი არ არის საერთაშორისო თამაში. იმიტომ, რომ არც ერთ არგენტინელს და თუნდაც ბრაზილიელს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ გემში ჩამჯდარიყო და ინგლისისკენ გაეცურა, იქ ფეხბურთი უნდა დავნერგოო. არგენტინასა და ბრაზილიას არ ეყოლებოდა თავისი ელიგზანდერ ჰადსონი და ჩარლზ მილერი, რომლებმაც პირველი ქრისტიანებივით იქადაგეს ფეხბურთი ამ ქვეყნებში.

ახლა თქვენ იკითხავთ, ამის გამო გუნდის ქომაგობა სისულელეაო.

მე კი გეტყვით, რომ ფეხბურთის სიყვარული ერთგვარი სისულელე გახლავთ და არასოდეს მყვარებია ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთის გამო. ზოგიერთმა იცის, მეო მხოლოდ მოედანზე დატრიალებული ამბები მაინტერესებსო, მეტი მე არ მეხებაო. დალოცვილო, რომელი ელინიო ერერა, ან ბობ პეისლი შენა ხარ? აი, ბატისტუტა და ლოპესი რომ გამოცვალა პასარელამ, მხოლოდ ფეხბურთი იყო. მე თუ მკითხავთ, ეს მენტალიტეტიც იყო? და ეს მენტალიტეტი, ფიქრები ჩაკაბუკოელი დანიელისა, ადრე თუ გვიან ავნებს არგენტინას.

და დეივიდ ბეტიმ რომ პენალტი ააცილა, მხოლოდ ფეხბურთია? ფეხბურთიც არის, მაგრამ ბეტი... ამის გამოც ბევრს ილაპარაკებდა კაცი.

ამიტომ, ინგლისის ქომაგობა სულაც არ არის „მხოლოდ ფეხბურთის" ქომაგობა. მე ასე მჯერა, თორემ ბუნებაში არ არსებობს მხოლოდ ფეხბურთი. ისევე, როგორც არ არსებობს მხოლოდ სიყვარული და მხოლოდ სიკვდილი.

როდესაც პენალტების სერია იწყებოდა, დაახლოებით ვხვდებოდი, რაც მოხდებოდა. თქვენ კი, ვერ ხვდებოდით? როგორ ვერა. ვერ დავიჯერებ. ასეთია წესი. ინგლისელებმა, ალბათ, მიშელ პლატინის უნდა მიმართონ, რომელიც ამბობს, რომ პენალტები უნდა გაუქმდეს და დამატებითი დრო მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ გოლი არ გავა. როდის იქნება ასე ფეხბურთში? ალბათ, მაშინ, როცა ფეხბურთი საბოლოოდ დაუახლოვდება ჰოკეის.

ინგლისის ნაკრებისთვის კი, ალბათ, სულერთი იყო, მერვედფინალს წააგებდა, თუ ფინალს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისელებმა ყველა დაარწმუნეს, რომ ჩემპიონატზე უძლიერესთა შორის იყვნენ.

ჩემპიონობა კი ალბათ, უფრო გამოცდილ, სატურნირო ომში გამობრძმედილ გუნდს ეკუთვნის. იმას, ვინც რუმინეთთან თამაშისას მთქნარებას არ მოჰყვება.

ასე რომ:

მშვიდობით, იარაღო!

წინ, არგენტინავ...

ლუდს კი ყოველთვის ბარაქიანს ჩამოასხამენ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მაიკლ ოუენიც გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და ყვავებსაც მონდომებით მოუვლიან. მთავარია, რომ გასაგები იყოს, ეს ყველაფერი ფეხბურთიცაა და ცხოვრებაც.

## სატირბორთქვე

## კითხვა • პასუხი

— ***გამარჯობა შენი. რამდენი ხანია არ მინახიხარ?***

— მხარზე ხელს ნუ მიტყაპუნებ!

— ***რა იყო, რა მოგივიდა?***

— ჯარიმაა!

— ***რა არის ჯარიმა?***

— მხარზე ხელის დატყაპუნება.

— ***ეე, ისევ ფიფას წინააღმდეგი ხარ?***

— მე მხარზე ხელის დატყაპუნების წინააღმდეგი ვარ.

— ***ჩემპიონატი არ მოგწონს?***

— რა არის მოსაწონი? მსაჯები დროს რომ არ ამატებდნენ გოლი არც გავიდოდა.

— ***რატომ?***

— სულ 46-ე და 91-ე წუთებზე გააქვთ.

— ***და ჩემპიონი ვინ გახდება?***

— პარაგვაის ნაკრები.

— ***პარაგვაი ხომ გავარდა?***

— ჩემპიონი ის გახდება, ვისაც ჩილავერტისნაირი მეკარე ეყოლება.

— ***და კიოპკე?***

— კიოპკეზე თვითონ კიოპკე ამბობს, ასეთი კეპკე არ მინახიაო.

— ***და ბარტეზი?***

— ბარტეზი თეთრი ლამაა.

— ***შენ იმიტომ ხარ გაბოროტებული, რომ ინგლისი გავარდა.***

— ინგლისი გავარდა?

— ***ჰო. არ იცი?***

— საიდან უნდა ვიცოდე?

— ***როგორ, ჩემპიონატს არ უყურებ?***

— ვუყურებდი სანამ იამაიკა თამაშობდა. მერე რამდენი შევხედე, სულ პლატინი და ბლატერი ჩანდნენ. მომბეზრდა და აღარ ვუყურებ.

— ***უკეთესს რას აკეთებ?***

— ვფიქრობ.

— ***იმაზე ხომ არა, რომ მაინც ბრაზილია გახდება?***

— არა. ბრაზილია ვერ გახდება.

— ***რატომ?***

— რონალდოზე მაგარი რონალდოს ცოლი ყოფილა. ხალხი სულ იმ გოგოს უყურებდა.

— ***ესე იგი, ინგლის — არგენტინა არ გინახავს?***

— არა. ეგ თამაში ნანახი მაქვს. სულ მაგ თამაშს არ ვუყურებ?

— ***კარგი. აბა ვინ მოგეწონა?***

— სუბისარეტა.

— ***კიდევ?***

— კიდევ სტოიჩკოვი რომ გავიდა და აღარ დაბრუნდა. ეგ რომ ველარ დავინახე, დავწყნარდი.

— ***ესე იგი, არ გყვარებია.***

— ჰაჯის მაინც მირჩევნია.

— ***გაკრასკულსაც?***

— გაკრასკულ ჰაჯის გაუკრასკავი რიგობერტ სონგი მირჩევნია.

— ***ეგ ვინ არის?***

— ველარ გავიგე, მე არ ვუყურებ ფეხბურთს, თუ შენ არ უყურებ?

— ***მე ნაღდ ფეხბურთს ვუყურებ, შენ კი...***

— ნაღდი რომელია, კაცს რომ მხარზე ხელს მოუთათუნებ და წითელს რომ გამლევენ?

— ***ეს პროვოკაციაა.***

— მართალი ხარ ფეხბურთის პროვოკაციაა.

— ***ისევ ძველებურად ჭიკჭიკებ.***

— კაცი ვერ ვნახე, კაცი, ამიტომაც ვჭიკჭიკებ.

— ***და გაზა?***

— რა გაზა?

— ***გაზა რომ ყოფილიყო?***

— კიდევ კარგი არ შეიყვანა ჰოდლმა. გააგდებდნენ, სულ ხელს არ უტყაპუნებს ვილაცეებს? თან, ამ დროული კაცის ამხელა გზაზე ტყუილად წვალება არ ღირდა.

— ***და ოუენი?***

— თავი დაანებეთ მაგ ბიჭს. გინდათ ეგეც გაალოთოთ?

— ***და დავიდსი?***

— რომელი დავიდსი, ზეედორფი?

— ***არა, ტურამი!***

— აა, რიგობერტ სონგზე ლაპარაკობ?

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელი ჯეკ როული ორშაბათს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ ფეხბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა თავისი კლუბის მიერ 1948 წლის ინგლისის ფედერაციის თასის მოგებაში, როდესაც „მენჩესტერმა" 4:2 გაიმარჯვა, ხოლო როულიმ ორი გოლის გატანა მოახერხა. 1951-52 სეზონში მანჩესტერელთა თავდამსხმელმა მშვენივრად იასპარეზა და მეტოქეთა კარი 30-ჯერ დალაშქრა, რასაც მისი კლუბის გაჩემპიონებაც მოჰყვა. ინგლისის ნაკრებში ჯეკ როულის ექვსი მატჩი ჩაუტარებია.

ფრანგი ფეხბურთელი სებასტიან პერესი, რომელიც შარშან „ბასტიას" ღირსებას იცავდა, ინგლისურ „ბლექბერნ როვერსში" გადავიდა. ახალ კლუბთან მან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო სატრანსფერო თანხამ 3 მილიონი გირვანქა (5 მილიონი დოლარი) შეადგინა. ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში, სადაც ძირითადად ამ ტრანსფერზე იყო საუბარი, პერესმა განაცხადა: „ძლიერ მიხარია ინგლისში გადასვლა. მჯერა, იქაც ისეთივე დონეზე ვითამაშებ, როგორც საფრანგეთში ვირჯებოდი. აგრეთვე დიდი იმედი მაქვს, რომ აქ შეძენილი გამოცდილება ძალიან გამომადგება მომავალში საფრანგეთის ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. ეს ხომ ჩემი დიდი ხნის ოცნებაა". საკმაოდ კარგ ფეხბურთელად შეურაცხავს იგი „ბლექბერნის" მთავარ მწვრთნელ როი ჰოჯსონს: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით სებასტიანს და ჩავთვალეთ, რომ იგი მეტად ნიჭიერი მცველია. ასე რომ, გარიგებით ძლიერ კმაყოფილი ვარ".

ესპანურ კლუბ მადრიდის „ატლეტიკოს" ახალდანიშნულმა თავკაცმა, ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა არიგო საკიმ მოითხოვა, რომ კლუბში დააბრუნონ ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი ფერნანდო კორეა. ეს ფეხბურთელი მადრიდულმა კლუბმა საკის მოსვლამდე კარგა ხნით ადრე სანტანდერის „რასინგს" ათხოვა, სადაც მან გასულ სეზონში მშვენივრად იასპარეზა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა. ესპანეთის ჩემპიონატში შარშან კორეამ 15 გოლის გატანა მოახერხა და ეტყობა, ამიტომაც მიიქცია საკის ყურადღება. ფორვარდის თქმით, მას უამრავი კლუბი ეპატიჟება ინგლისიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან, მაგრამ იგი მაინც „ატლეტიკოს" ვარიანტს ამჯობინებს. თუ ასე მოხდა და კორეა საკის გუნდში გადაბარგდება, მაშინ იქ მყოფ თავდამსხმელებს ბევრი პრობლემა შეექმნებათ, რადგან იტალიელი მწვრთნელი არ მალავს თავის სიმპატიებს ურუგვაელი ფეხბურთელების მიმართ. გარდა ამისა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს მხოლოდ ექვსი ისეთი ფეხბურთელის მიწვევის უფლება აქვს, რომლებიც არაევროკავშირის ქვეყნებიდან არიან.

## რუსეთი

მე-15 ტური: ალანია — როსტსელმაში 0:1; სპარტაკი — ჩერნომორეცი 1:0; ურალანი — ჟემჩუჟინა 2:0; კრილია სოვეტოვი — დინამო 1:0; ტიუმენი — ზენიტი 0:5; ცსკა — შინიკი 0:1; ტორპედო — როტორი 2:2; ბალტიკა — ლოკომოტივი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 15 | 8 | 6 | 1 | 26:11 | 30 |
| სპარტაკი | 13 | 7 | 4 | 2 | 19:11 | 25 |
| როსტსელმაში | 15 | 6 | 6 | 3 | 23:16 | 24 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 5 | 4 | 16:11 | 23 |
| როტორი | 15 | 5 | 8 | 2 | 27:19 | 23 |
| ურალანი | 15 | 6 | 4 | 5 | 17:14 | 22 |
| ჟემჩუჟინა | 15 | 6 | 4 | 5 | 17:16 | 22 |
| ალანია | 15 | 5 | 6 | 4 | 15:15 | 21 |
| შინიკი | 15 | 5 | 4 | 6 | 12:17 | 19 |
| ტორპედო | 15 | 4 | 7 | 4 | 17:16 | 19 |
| ბალტიკა | 14 | 4 | 7 | 3 | 14:16 | 19 |
| კრილია | 15 | 5 | 2 | 8 | 13:20 | 17 |
| ჩერნომორეცი | 15 | 3 | 8 | 4 | 19:16 | 17 |
| ცსკა | 15 | 3 | 5 | 7 | 16:18 | 14 |
| დინამო | 15 | 1 | 9 | 5 | 11:16 | 12 |
| ტიუმენი | 14 | 1 | 1 | 12 | 7:37 | 4 |

# გიორგი ანჩაბაძე: აშქელონი, სენტ ტრუიდენი, შემდეგ?..



ბოლოდროინდელ ქართულ ფეხბურთში განსაკუთრებით მოგვიმრავლდნენ ფეხბურთელები, რომელთაც ვერ გაამართლეს ჯერ კიდევ კარიერის დასაწყისში მათზე გაცემული ავანსები და სწორედ იმ დროს, როცა თითქოს დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, ერთგვარად საკუთარი ნიჭის ჩრდილში მოექცნენ. აქ საუბარი არაა იმაზე რომ მავანი ფეხბურთელი საერთოდ დაიკარგა — არა, ის აგრძელებს თამაშს, მეტიც, ხშირად გამორჩეულია გუნდში, მაგრამ ერთია კარგი თამაში და სულ სხვა გუნდის ლიდერობა. ის, რასაც რიგით ფეხბურთელს აპატიებს მწვრთნელი, პარტნიორი ან მაყურებელი, სრულიადაც არ არის საკმარისი ლიდერისთვის.

გიორგი ანჩაბაძესაც ასე მოუვიდა. გეხსომებათ, ძალამოკრებილი ეროვნული ჩემპიონატი ახალ სახელებს ითვლიდა: ანჩაბაძეც მაშინ მიიჩნიეს იმედისმომცემ მოთამაშედ. იმ პერიოდში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი წამოტივტივდა, მაგრამ მათგანაც გამოირჩეოდნენ ლევან ყიფიანი და გიო ანჩაბაძე. თუ ლევანს ასე თუ ისე იცნობდა ქართველი გულშემატკივარი (უფრო სახელოვანი მამის გამო), გიორგი მხოლოდ ახლობელთა და გულშემატკივართა ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. ამის მერე სულ მალე შეძლო ანჩაბაძემ თავის გამოჩენა და მაშინდელი „სარბიელის“ შეფასება — „ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი ფეხბურთელი“ — დაიმსახურა.

უცხოსთვის ძნელია იმ მიზეზის ახსნა, რამაც პერსპექტიულ და ნიჭიერ ფეხბურთელს ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბებაში შეუშალა ხელი. თვითონ ანჩაბაძეს კი ამაზე ასეთი აზრი გააჩნია: „დაახლოებით ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი რომ გახდა. ამან ჩემს ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედა. ვფიქრობდი, რომ ფიფა-უეფაში გაწევრიანებას დიდხანს ვერ შევძლებდით და ძველებურად აღარ ვიხარჯებოდი. ერთი სიტყვით, გული გამიტყდა ფეხბურთზე“.

ფეხბურთს ყველა ქვეყანაში კაცები თამაშობენ. აქ მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი არც ასაკია და არც ფიზიკური მონაცემები. ცნებაში „კაცები“ უცილოდ „მებრძოლები“ იგულისხმება. სამწუხაროდ, ჩვენს ფეხბურთელებს ბრძოლისუნარიანებად ვერავინ შერაცხავს. ერთი უცნაურობაც დასჩემდა ქართულ ფეხბურთს — ფეხბურთელი წლების მანძილზე თამაშობს გუნდში და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არ იზრდება. აქ არა მარტო ოსტატობის ამაღლებაზეა საუბარი, არამედ იმაზე რომ ჩვენ როგორღაც ვეჩვევით ფეხბურთელის გვარს, ნომერს, მანერას და გვგონია, ისეთივე „ბავშვია და ნიჭიერი“, როგორიც შვიდ-ათი წლის წინათ იყო. გავიხსენოთ, რამდენჯერ გვიწოდებია „პერსპექტიული“ ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის კაცებისთვის. ფეხბურთელი ასაკშია, კარიერას ამთავრებს, ჩვენ კი ისევ დანანებით ვიძახით, „ვერ გაიხსნა ეს ბიჭი“. ასეთი მაგალითი ერთეული რომ იყოს, ვინ რას იტყოდა, უბედურება ისაა, პერსპექტიული ვეტერანები მოგვიმრავლდნენ და აქედან გამომდინარე, მთელი ქართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა გადასახედი.

„რამდენიც უნდა იყოს მსგავსი შემთხვევა, ყოველი მათგანი ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ნიჭიერი კაცის დაკარგვა ტრაგედიაა, მით უმეტეს, ფეხბურთში. საკუთარ თავზე კი იმას გეტყვით, რომ თვითონ ვერ მივხედე ჩემს კარიერას. ერთხანს გულგატეხილი რომ ვიყავი, ეს გითხარით, მერე, საერთაშორისო ორგანიზაციებმა გვაღიარეს თუ არა, კვლავ გადავწყვიტე სერიოზულად მოვკიდებოდი საქმეს, მაგრამ დაკარგულ წლებს ასე ადვილად ვერ დაიბრუნებ. მწვრთნელთა წყალობით არც იმის საშუალება მომეცა, ევროპულ თამაშებში დამემტკიცებინა ჩემი ძალა, მარტო ეროვნული ჩემპიონატი კი ოსტატობის საზომად არ გამოდგა. მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს მხოლოდ მწვრთნელთა მიზეზით ვერ „გავიხსენი“ ბოლომდე, კიდევ ვიმეორებ — მთავარი დამნაშავე თავად ვარ“.

ნიჭიერ ადამიანს, მით უმეტეს, სპორტსმენს ჩვეულებრივზე მეტი ამბიცია გააჩნია. ამიტომაც მიედინებიან უწყვეტ ნაკადად ჩვენი ფეხბურთელები საზღვარგარეთ. თბილისის „დინამოში“ მეექვსედ მოპოვებული ჩემპიონობის მერე ანჩაბაძემ უცხოეთს მიაშურა და ყიზილაშვილთან და გოგიჩაიშვილთან ერთად ისრაელის ჩემპიონატში იასპარეზა ერთი სეზონი.

„გუნდი ახალგადმოსული იყო უმაღლეს ჯგუფში და ჩვენზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ — ჩვენ ვიყავით ის ძალა, რომელიც უმაღლეს ლიგაში გუნდს ადგილს შეუნარჩუნებდა. მაგრამ რაოდენ ძლიერადაც უნდა გვეთამაშა, მაინც ძნელი გამოდგა მთელი სეზონის მანძილზე გუნდის თრევა. ისრაელის მოწინავე კლუბების კვალობაზე იმდენად სუსტად იყო დაკომპლექტებული ჩვენი კლუბი, მისი რჩეულთა შორის დარჩენა გამორიცხული იყო“.

როგორც ხედავთ, ისრაელის „აშქელონი“ არ იყო ის გუნდი, სადაც გიორგი ანჩაბაძე სრულად წარმოაჩენდა თავის შესაძლებლობებს, თუმცა სეზონი ძლიერად კი ჩაატარა და უკმაყოფილო არავინ ჰყოლია: „მიუხედავად იმისა, რომ ჩამოვქვეითდით, სამდურავი არავის ეთქმოდა. ყველანი ხედავდნენ ჩვენს გარჯას. მონდომება და ჯაფა არ დამიშურებია, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის“.

იყო თუ არა წინგადადგმული ნაბიჯი ანჩაბაძის კარიერაში ისრაელის ჩემპიონატში ასპარეზობა? ამას იქაური და ჩვენეული ფეხბურთის დონის შედარება განსაზღვრავს. რა დასამალია და ქართული ფეხბურთი არა თუ ევროპის გრანდებს, საშუალო საფეხბურთო ქვეყნებსაც ჩამორჩება და მათ შორის ისრაელსაც.

„ისრაელში სხვანაირი მიდგომაა ფეხბურთისადმი. იქ იმდენი და ისეთი ავტორიტეტული ადამიანია ჩარეული სპორტში, არ შეიძლება შედეგი არ მიიღონ. ეტყობა კიდეც ისრაელის ეროვნული ნაკრების გამოსვლას ბოლო ხანებში. ხუმრობაა? არგენტინას, რუმინეთს, თურქეთს მოუგეს. საკლუბო დონეს რაც შეეხება, თბილისის „დინამო“ შეძლებდა იქაურ ძლიერ გუნდებთან თანაბარ დონეზე პაექრობას, მაგრამ ჩვენი უბედურებაც ისაა, მხოლოდ ერთი-ორი ღირსეული გუნდი რომ გაგვაჩნია. ერთი დადებითი ტენდენციაც შეინიშნება ისრაელის ფეხბურთში. საქმე წლიდან წლამდე უმჯობესდება და წინ მიდის.



გიორგი ანჩაბაძე მცველებისთვის ყოველთვის მოუხელთებელი იყო

ყიდულობენ ახალ ლეგიონერებს, აძლიერებენ კლუბებს, ქმნიან საკლუბო კონკურენციას და მოთამაშეებიც ისეთ პირობებში ჰყავთ, რომ ფეხბურთის გარდა არაფერზე არ უწევთ ფიქრი — ამ მხრივ მართლაც ევროპულ დონეზე არიან“.

საფეხბურთო სამყარო კარგა ხანია, გადაეჩვია საქმის დაუგეგმავად კეთებას. ჯერ შეიმუშავებენ ხოლმე გამიზნულ, წლებზე და წვრილმანებამდე გათვლილ პროექტს და შემდეგ ახორციელებენ მას. ასეთი მიდგომა, თქმა არ უნდა, გამართლებულია და ასგზის შემოწმებულიც. ისრაელშიც ასე გაუკეთებიათ. „მათ თავიდანვე სწორი მიმართულება აიღეს ფეხბურთში და აქცენტი სწრაფ, ძალისმიერ, ხისტ ფეხბურთზე გააკეთეს. ისრაელის ფეხბურთი წინ მიიწევს და, მერწმუნეთ, თუკი ევროპის გრანდები აქამდე ნახევარი ძალით ახერხებდნენ მათი გუნდების დამარცხებას, ახლო მომავალში ეს ძალიან გაუჭირდებათ“.

ძალისმიერი, ხისტი ფეხბურთის თამაში, რაც აგრერიგ აკლიათ ჩვენი საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებს, არც გიო ანჩაბაძისთვის იქნება ზედმეტი, რადგან მის ტექნიკასთან შერწყმული ბრძოლისუნარიანობა და მაღალი ფიზიკური კონდიცია მართლაც დიდებული რამ იქნებოდა. განა ფიზიკური მომზადების უკმარისობის გამო არ იყო, რომ გიორგი ანჩაბაძე „ჰამბურგში“ ვერ მოხვდა თავის დროზე. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე — იყო თუ არა გიოსთვის წინ გადადგმული ნაბიჯი ისრაელში თამაში, პასუხი დადებითია.

ამჟამად ოცდაექვსი წლის გიორგი ანჩაბაძეს ბელგიის „სენტ ტრუიდენი“ ეპატიჟება.

„ჯერ კიდევ ისრაელში გავიგე, რომ ბელგიური კლუბები იყვნენ ჩემით დაინტერესებული. მაშინ ზუსტად არ ვიცოდი კერძოდ ვინ და რომელი გუნდი მიწვევდა. „სენტ ტრუიდენის“ ვარიანტი მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის მერე შევიტყვე“.

ბელგიური ფეხბურთიდან, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ წარსული დიდებაა დარჩენილი. ეს მათი ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლამაც დაადასტურა, მაგრამ ასეთი რამე ქართველებს ყველაზე ნაკლებად გვიკვირს და ჩვენი უსახური ეროვნული ჩემპიონატისთვის ბელგიური დონეც სანატრელია. ვინ იცის, იქნებ გიო ანჩაბაძისთვის ტრამპლინადაც კი იქცეს ევროპის სრულიად საშუალო საფეხბურთო ქვეყნის უფრო საშუალო გუნდი.

არადა, ანჩაბაძე ღირსია უფრო მაღალ დონეზე თამაშისა. დღეს, როცა ასე გაიზარდა თამაშის ტემპი, შეიზღუდა სივრცეები, მისი ამპლუის ფეხბურთელები განსაკუთრებით ფასობს. დიახ, გამთამაშებელი და დირიჟორი არასდროს არც ერთი სტილის და მანერის გუნდისთვის არ არის ზედმეტი. ახლა გამოჩნდნენ მწვრთნელები, რომელთა „სქემებშიც არ ჯდებიან“ გამთამაშებლები, მაგრამ ბაჯო, გასკოინი, ვერონი, ბებერი ლაუდრუპიც კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ათას მეერთედ აჩვენა მსოფლიოს რობერტო ბაჯომ, რომ არ არსებობს სქემა, რომელშიც ის ვერ ჩაჯდება.

„ბაჯო ჩემი კერპია და საერთოდ იტალიურ კლუბებს, მათ ნაკრებს თითქმის ათი წელია ვგულშემატკივრობ. არაფერს ვამბობ მარადონაზე, ის სულ სხვა სიმაღლის ფეხბურთელი იყო“.

ოცდაექვსი წელი ის ასაკია, როცა კაცს თავისი მრწამსი და კრედო უკვე ჩამოყალიბებული აქვს. გიორგიმაც კარგად იცის, რა სჭირდება, რა — არა, რაზე მართებს მუშაობა. ოცდაექვსი წლის ფეხბურთელს თავისი სისუსტეც კარგად ესმის და ღირსებაც.

„მირჩევნია სისუსტეზე ვისაუბროთ — ღიმილით ამბობს იგი — ცოტა ძნელია საკუთარ თავზე, მით უმეტეს, ღირსებაზე ლაპარაკი. დადებითი სხვებმა შეაფასონ, მე კი ნაკლზე მოგიყვებით. ჩემის აზრით, ჩემი სისუსტეა ის, რომ თავს არასაკმარისად ვტვირთავ“.

თუკი სიმორცხვე ამშვენებს ადამიანს, მაშ, გიორგის თავმდაბლობაც ღირსებად უნდა ჩავუთვალოთ. როგორც ფეხბურთელი კი იგი ასევე მრავალი ღირსებითაა შემკული. უამისოდ ეს წერილიც არ დაიწერებოდა.

უმთავრესი, რაც მას მოედანზე სხვათაგან გამოარჩევს, თამაშის ელეგანტური მანერაა. მისეული ილეთები დახვეწილია, პასი გაზომილი და საერთოდ გიორგი ანჩაბაძის ტექნიკა ერთგვარი სირბილით ხასიათდება. ასეთი ფეხბურთელის ცქერა უფრო საფეხბურთო გურმანებს სიამოვნებთ — საკმარისია, გიომ ოდნავ მოუმატოს სისწრაფეს, გაიუმჯობესოს ფიზიკური მომზადების დონე, იგი ყველა კონდიციით დააკმაყოფილებს თანამედროვე ვარსკვლავის მოთხოვნებს. არადა, ჩვენი საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებს რომ ძალუძთ, საზღვარგარეთაც მოხიბლონ ხალხი, ეს არაერთმა ქართველმა ლეგიონერმა დაამტკიცა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



სულაც არ ვხუმრობთ. მართალია, არ ვიცით, მოახერხებს თუ არა სომხეთის ნაკრები სენ დენიში მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დასწრებას, მაგრამ ამის შანსი ნამდვილად აქვს. სომხები ახლა საფრანგეთში იმყოფებიან შეკრებაზე და მარსელიდან ერევანში დაბრუნება 13 ივლისს უწევთ: ინტერტოტოს გათამაშებაში „ერებუნი“ — „ტორპედოს“ ამასწინანდელ მატჩს სომხეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **სურენ ბარსეგიანი** ადევნებდა თვალს, თუმცა ამ კაცს ჩვენ მანამდე სასტუმრო „ერებუნიში“ გავესაუბრეთ.

# სომხეთის ნაკრები სტად დე ფრანსზე?

**— ჯერ თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებ გვითხარით.**

— დიდი ფეხბურთი არ მითამაშია. 1971-73 წლებში „არარატის“ სათადარიგო შემადგენლობაში ვიყავი. აქედან ჩელიაბინსკში გადავედი და რამდენიმე წელი იქაურ „ლოკომოტივს“ შევალიე. მერე სამშობლოში დავბრუნდი. ვიმუშავე რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილებაში. მწვრთნელობა ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლაში დავიწყე. ერთხანს ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები მებარა. ვავარჯიშებდი საკავშირო მეორე და პირველი ლიგის გუნდებს ერევნის „არაბკირს“, ოქტომბერიანის „სპარტაკს“, აბოვიანის „კოტაიკს“. ცოტა ხანს „არარატსაც“ წავძღოლივარ. ბოლო ექვსი წელიწადი ლიბანში ვიმყოფებოდი, სადაც სომხურ და არაბულ კლუბებს ვწვრთნიდი. ერთი თვის წინ ერევანში გამომიძახეს. სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა მესვეურებმა ეროვნული გუნდის თავკაცობა შემომთავაზეს.

**— და დათანხმდით. იყოყმანეთ თუ?.. ჯორკაეფზეც ხომ იყო ლაპარაკი?**

— არც დავფიქრებულვარ. ეს ჩემი ოცნება იყო. რომელი ჯარისკაცი არ ოცნებობს გენერლობაზე. არ დავმალავ, სიხარულით მივიღე წინადადება და ყოველნაირად ვეცდები, რომ ნდობა გავამართლო, საქმით დავამტკიცო, რომ რაღაც შემიძლია. ჯორკაეფის მოწვევას მართლა აპირებდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა!

**— მარტო რას გახდებით. ვის თანადგომას ელით?..**

— რატომ მარტო. ფეხბურთის ხელმძღვანელობასთან კონკრეტული საუბარი მქონდა. სამომავლო გეგმები დავსახეთ. ხელშეწყობა იქნება. ეს, ბატონო, სომხეთის ნაკრებია, ეროვნული საქმეა, ერის ღირსება. კეთილი ინებონ და ვისაც ხელეწიფება, თავისი წილი გაიღონ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ამ ერთ თვეში, რაც ნაკრებში ვარ, დავრწმუნდი, რომ საქმე წინ წავა. ფედერაციის პრეზიდენტი, ქალაქ ერევნის მერი სურენ აბრამიანი და ვიცე-პრეზიდენტი აბრამ ბაბაიანი ერთ დღესაც არ გვტოვებენ უყურადღებოდ. სასიკეთო ძვრები უკვე შეინიშნება, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**— თავად ბრძანეთ, ბოლო ექვსი წელი ლიბანში ვიმუშავეო. ესე იგი, მთელი ეს პერიოდი მოწყვეტილი იყავით სომხურ ფეხბურთს...**

— მთლად ასეც არ გახლავთ. სამშობლოში ჩამოსვლა ხშირად მიწევდა. ყველაფერი კარგად ვიცი. სომხურ ფეხბურთში მდგომარეობა უმძიმესია, მე ვიტყოდი, კრიტიკულ წერტილამდეა მისული. ეროვნული ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა, გუნდებს ფინანსურად უჭირთ, ნიჭიერ ფეხბურთელებს აქ პერსპექტივა არ აქვთ. ამიტომაც ვისაც შნო აქვს, უცხოეთში გარბის. თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანაში ფეხბურთი დაიღუპება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს პროცესი უნდა შევაჩეროთ. ჩემპიონატი ჩემპიონატს უნდა დაემსგავსოს და ეს საკითხი სახელმწიფო დონეზეა გადასაჭრელი. მე კარგად მესმის ის, რაც ახლა ხდება, ეკონომიკური სიდუხჭირის გამოა, მაგრამ ასე ხომ ადვილი შესაძლებელია, საბოლოოდ დავკარგოთ ათწლეულობით ნაგროვები. ნაკრები იქნება, ქვეყნის პირველობა თუ ბავშვთა ფეხბურთი, ერთდროულად უნდა მივხედოთ, ელემენტარული პირობები მაინც უნდა იყოს. არ შეიძლება სომხური ფეხბურთის ტრადიციების დავიწყება. მართალია, ახლა ჩამოვრჩით, მაგრამ მოვა დრო და ჩვენსას ვიტყვით.

**— თქვენს წინამორბედთა ხელში ნაკრებს არ უხეირია. თქვენ რის გარანტიას იძლევით?**

— ბევრს თუ ვიშრომებთ, შედეგებიც მოვა. მთავარია, იყოს ხელშეწყობა.

**— ნაკრებში რითი დაიწყეთ?**

— კანდიდატთა შერჩევით. ქვეყნის პირველობაზე მონაწილე გუნდებში რამდენიმე მოთამაშე მომეწონა. კარგი მასალაა. თუმცა, გუნდის დაკომპლექტება ძირითადად მაინც ლეგიონერების ხარჯზე მოხდება. ვფიქრობ, მომზადების დონით დღეს ისინი უფრო მაღლა დგანან და ამ ეტაპზე ისინი უფრო გამოგვადგებიან.

**— თქვენს ლეგიონერებს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— ორი მეკარე რომან ბერეზოვსკი („ზენიტი“) და არმენ პეტროსიანი (ირანის „სეთალამი“). აგრეთვე არმენ სარქისიანი და სარქის ოჰანესიანი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), გარნიკ ავალიანი (სამარის „კრილია სოვეტოვი“), სარქის ოვსეფიანი („ზენიტი“), კარაპეტ მიქაელიანი (სარატოვის „სოკოლი“), ძმები არმენ და არტაშეს ადამიანები (სმოლენსკის „კრისტალი“), ერვანდ სარქისიანი (ბერძნული „კლისი“), არუთუნ ვართანიანი (შვეიცარული „ლოზანა“), ფრედერიკ თათარიანი (ფრანგული „ტულონი“), არუთუნ კარაპეტიანი (აშშ).

**— და ალენ ბოგოსიანი?..**

— ხუმრობთ, არა.

**— გავიგეთ, ნაკრები საფრანგეთში მიგყავთ შეკრებაზე...**

— ყველა ფეხბურთელს ერთად თავი ვერ მოვუყარეთ, თუმცა უმრავლესობა შევკრიბეთ. ერთი კვირა ადგილზე ვივარჯიშეთ. ახლა მარსელში მივემგზავრებით ორი კვირით. 23 ფეხბურთელი მიგვყავს.

**— ეს შეკრება ძვირი დაგიჯდებათ?**

— ჩვენ მხოლოდ მგზავრობის ხარჯებს გავიღებთ. მარსელში ემიგრანტი სომეხი, ფეხბურთის ფანატიკოსი არმენ არსლანიანი გვიმასპინძლებს საკუთარ ბაზაზე. ამ კაცისგან ბევრი სიკეთე გვახსოვს. იგი ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის საპატიო წევრია.

**— ასაკოვანნი ჩანან თქვენები?..**

— გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად ახალგაზრდებიც საკმარისად გვყავს. პერსპექტიული ბიჭები არიან არგაკ აგეიანი, არტურ მინასიანი, ტიგრან ოჰანესიანი, ჰაიკ გევორქიანი, აიკ არუთინიანი. ვატყობ, ესენი ძირითადში მალე მოხვდებიან.

**— მუშაობაში ვინ გეხმარებათ?**

— ყოფილი არარატელი, გუნდის კაპიტანი აშოთ ხაჩატრიანი უნდა გახსოვდეთ. კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები, თანაც ულალატო კაცია.

**— მარსელიდან დაბრუნების შემდეგ რას აპირებთ?**

—მომავალი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით. საფრანგეთის, რუსეთის, უკრაინის ძალა იცით. აქვეა ისლანდია და ანდორა. პირველი თამაში 5 სექტემბერს გვაქვს ანდორასთან და უკვე ამ მატჩზე ვფიქრობთ. აგვისტოში, ალბათ, ერთ შეკრებასაც მოვაწყობთ.

**— ჯგუფიდან გასვლის შანსი, რა თქმა უნდა, არა გაქვთ...**

— რატომ გვკადრებთ. არის შანსი. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დასაკარგი არაფერი გვაქვს და ვიბრძოლებთ. რუსებისთვის არ მოგვიგია თუ უკრაინელებისთვის? 1973 წელს „არარატი“ გაიხსენეთ. შიშის ზარს სცემდა ამათ. ახლა სხვა დრო კია, მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებთ. თამაშების დროც მოვა და ვნახოთ.

**— მაგაში მართალი ბრძანდებით. წარმატებებს გისურვებთ.**

— ქართველებსაც იგივე მინდა ვუთხრა. ძალიან მომწონს თქვენი ნაკრები, მაღალი კლასის ფეხბურთელები გყავთ და თქვენ ჩვენზე ადრე შეგიძლიათ მიაღწიოთ სასურველს.

**იუზა ქაციტაძე**
**ერევანი — ქუთაისი**
**27 ივნისი**

# ლომელამდე ანტვერპენია

ინტერტოტოს თასის წინასწარი ეტაპის პირველი მატჩი ქუთაისის „ტორპედოს“ შაბათს ბელგიურ „ლომელთანა“ აქვს სათამაშო. თუმცა, ჩვენებურები ბენილუქსში გუშინვე გაემგზავრნენ. ინტერტოტოს ეტაპების დროში სიახლოვემ ქუთაისელებს ადრიანად გამგზავრება ლამის დაუბრკოლა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს დახმარებით ვიზების მიღება მაინც ოპერატიულად მოხერხდა.

„ტორპედო“ გუშინ დილით ფრანკფურტს გაფრინდა და იქიდან საღამოსთვის „ანტვერპენშიც“ ჩავიდოდა, სადაც მატჩამდე სამდღიან შეკრებას გაივლის. ქუთაისელებმა მხოლოდ „ერებუნისთან“ ფეხისთითნატკენი გიალო ჩხაიძე და ახალშემატებული, მაგრამ, როგორც ჩანს მალევე დათხოვნილი მაისურაძე და ნატროშვილი როდი მოისაკლისეს. ქუთაისელთა გამგზავრება თავიდან ჩარტერული რეისით იყო ნავარაუდევი, მაგრამ რაკი ბელგიაში ადრიანად ჩასვლის შესაძლებლობა გამოიძებნა, მატჩზე დასწრების მსურველი გულშემატკივრების მცირე ჯგუფიც თვითმფრინავის ტრაპგამოლმა დარჩა.

ერთადერთი ქართველი ჟურნალისტიც ვისაც მკითხველთათვის ინფორმაციისა და ამ მატჩის პერიპეტიათა გადმოცემა დაეკისრა, სარბიელელის კორესპონდენტი იუზა კაციტაძე იქნება. მის პირველ, წინასამატჩო რეპორტაჟს შაბათის „სარბიელში“ იხილავთ.

## დინამოს ჩხეიძე დაუბრუნდა

დღეს საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ სანქტ პეტერბურგს გაფრინდა, საიდანაც ტალინამდე ავტობუსით მოუწევს მგზავრობა. ბალტიისპირეთში, როგორც აქამდე ვწერდით, დინამოელები ორკვირიან შეკრებას გაივლიან. გუშინ საღამოს მურთაზ ხურცილავამ ტალინში წამსვლელნი ორ გუნდად გაყო და „ვიტ ჯორჯიას“ გააჯიბრა. ერთი ტაიმი, შეიძლება ითქვას, ძირითადმა შემადგენლობამ ითამაშა, ხოლო მეორე — პირობითად სათადარიგოებმა. ხურცილავა ბიჭებს აკვირდებოდა, შენიშვნებს აძლევდა, აქებდა კიდეც.

„დინამოში“ ცვლილებები საკმაოდ არის. მაგრამ ერთი ახალწვეული, უფრო სწორად, ძველი დინამოელი განსაკუთრებულად მოგვხვდა თვალში. ნიკა ჩხეიძე, ბოლოს გერმანიის რეგიონალ ლიგის „ჰომბურგის“ მეკარე, დღეიდან „დინამოს“ კარს დაიცავს. მასთან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და გუნდთან ერთად ტალინშიც გაემგზავრება. მეორე დებიუტანტი ბესიკ შენგელიაა, რომელიც გასული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე გაიოზ დარსაძემ „რუსთავში“ მიიწვია, ნახევარი სეზონი იქ ითამაშა, ახლა კი დინამოელი გახდა. მესამე მაცი გიორგაძეა, იგი ბოლო ხანს ამერიკაში ბურთაობდა. ადრე მას ახალგაზრდული ნაკრების შეკრებებზეც ეძახდნენ, მაისის ბოლოს კი გოგლა იმნაძემ რუსებთან თამაშისთვის მოსამზადებლადაც იხმო. „დინამოში“ თსუ-დან ჭაბუკი ლევან მელქაძეც მიიწვია და მეკარე „ეინდჰოვენისა“ და მადრიდის „რეალის“ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ზურაბ ბათიაშვილიც. მესამე მეკარეზე — რამაზ სოლოლაშვილზე უკვე გაუწყეთ, ისიც „დინამოში“ ითამაშებს, ისევე როგორც ყოფილი ტორპედოელი გიორგი შენგელია.

ტალინში წამსვლელ დანარჩენ ფეხბურთელთა გვარები, მგონი, უცხო არ იქნება. ზემოთნახსენებთა გარდა გასულ სეზონში ყველა „დინამოში“ თამაშობდა.

ჰო, ერთიც. თბილისელებთან ერთად ტალინს გაემგზავრება მათივე დამლუპველი, ამასწინანდელ საქართველოს თასის ფინალში ოქროს გოლის გამტანი — დავით ჭიჭვეიშვილი. „დინამოს“ იგი „ბათუმში“ ჰყავდა განათხოვრებული და ახლა ხურცილავამ კვლავ „დინამოში“ უხმო.

თბილისის „დინამო“ ტალინს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

ნიკოლოზ ჩხეიძე, რამაზ სოლოლაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, გივი დიდავა, ზვიად ჯელაძე, არჩილ სახვაძე, ვალტერ გუჩუა, ლევან ცქიტიშვილი, ლევან ხომერიკი, კახა ებრალიძე, გიორგი შენგელია, მაცი გიორგაძე, დავით მუჯირი, მიხეილ აშვეთია, რატი ალექსიძე, გივი კვარაცხელია, ბესიკ შენგელია, რევაზ ქემოკლიძე, ლევან მელქაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, ლევან კობიაშვილი

როგორც მურთაზ ხურცილავამ გვითხრა, ჯერჯერობით 21 ფეხბურთელს იახლებს, ამათ მოამზადებს, დანარჩენიც ბალტიისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ იყოსო.

**ჭოგა ინასარიძე**

## დაცვას შელია მიხედავს

ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს საზრუნავს რა გამოულევს. 5 სექტემბერი არც ისე შორსაა, შეკრება-მომზადებას თავი რომ დავანებოთ, ოპტიმალური შემადგენლობაა დასადგენი. ნახევარდაცვასა და თავდასხმაში არც არაფერია გასარკვევი, პირიქით, ამ პოზიციებზე ფეხბურთელთა მოზღვავება იგრძნობა და სერიოზული კონკურენცია დამკვიდრდა.

აი, დაცვა კი ნამდვილად საფიქრალია. ვლადიმერ გუცაევმა არაერთი ფეხბურთელი გამოსცადა, საიმედო თამაშს მაინც ვერ მიაღწია.

საქმე სულ სხვაგვარად იქნებოდა, მურთაზ შელია ჯანზე რომ გვყავდესო, ამბობენ გულშემატკივრები. ნორვეგიელებთან შელია თუ გვიშველის, მურთაზს შეიძლება შეცდომა მოუვიდეს, მაგრამ არ შეეშინდება, უკან არ დაიხევს, მეტოქეს თავს შეაკლავსო.

შელიას სერიოზული ტრავმა ჰქონდა, მანჩესტერში მუხლი დაიზიანა და დღემდე მკურნალობს. გუშინ კი სასიხარულო ცნობა შევიტყვეთ, მურთაზს ინდივიდუალური წვთნაც დაუწყია, დილმის ბაზაზე ყოველ დილით თავს იტვირთავსო.

ტრავმა თანდათან შუშდება, მალე სრული დატვირთვით ვივარჯიშებ და 5 სექტემბრისთვის, ალბათ, მზადაც ვიქნები. მკურნალობა ჯერ ნორმალურად მიმდინარეობსო, — თქვა შელიამ.

მურთაზი ორიოდ კვირაში მანჩესტერში ჩავა, „სიტის“ შეუერთდება და ახალი სეზონისთვის შეუდგება მზადებას. გულში ხინჯად ისღა დაგვრჩენია, ჩვენებურს ინგლისურ მესამე ლიგაში რომ უწევს ბურთაობა, მაგრამ შელიას უკეთესი მერმისის იმედი აქვს. ალბათ, მალე „სიტის“ კლანჭებს თავს დავაღწევ და უფრო სოლიდურ გუნდში გადავალო.

სადაც უნდა წავიდეს, ქართველ გულშემატკივარს მაინც მურთაზის თავგანწირვის იმედი ექნება. ხალხს ჯერაც ახსოვს იტალიელებთან კლდედქცეული შელია, რომელმაც ვიერისა და კომპანიას გაქანების საშუალება არ მისცა.

**მამუკა ქვანტალიანი**

## ვეტერინარები სუქდებიან

„ვიტ ჯორჯია“ ახალი ჩემპიონატისთვის ადრიანად შეუდგა სამზადისს, გუშინ კი „დინამოს“ გაეჯიბრა ამხანაგურად დიღმის ბაზაზე რა თქმა უნდა, ამ მატჩის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და დიდი ყურადღებაც არავის მიუქცევია.

თვალშისაცემი და გასაკვირი ის იყო, რომ ვიტელთა რიგებში ტორპედოელებად მონათლულები — ვასილ მაისურაძე და გოდერძი ნატროშვილი შევნიშნეთ.

ორივე ფეხბურთელი ერევანში „ერებუნთან“ ფრედ ნათამაშევ მატჩში მონაწილეობდა, თითქოს ქუთაისელთა თავკაცი სოსო ფრუიძეც ემადლიერებოდათ და „ტორპედოს“ ბელგიაშიც უნდა შეშველებოდნენ, მაგრამ რიონისპირელები უკვე იქ არიან, მაისურაძე-ნატროშვილი კი თბილისში.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე თბილისელები „ტორპედოს“ არა მარტო ინტერტოტოს გთამაშებაში უნდა დახმარებოდნენ, არამედ ახალი ჩემპიონატიდან მათი ღირსებაც უნდა დაეცვათ.

მაისურაძის და ნატროშვილის გუნდიდან წასვლის ნამდვილი მიზეზი ვერ შევიტყვეთ, მაგრამ ფაქტია, ესენი ვიტელთა რიგების გამაგრებას აპირებენ.

ვეტერინარები მერანელ აბაზაძეს და კაპანაძესაც დაიმატებენ. ორივე გუგუშვილის გამოზრდილი კია, მაგრამ გასულ სეზონში „მორკინალს“ „მერანი“ ამჯობინეს, ახლა კი უკან დაბრუნება გადაუწყვეტიათ.

ვიტელებს თსუ-ელი გრიგოლ გვაზავაც შეემატებათ. თსუ ჯერაც გაურკვევლობაშია, ახალი მეპატრონეების გამოჩენას არ დაადგა საშველი და აწ უკვე ყოფილმა სტუდენტმა თავისი ბედი ვეტერინარებს დაუკავშირა.

**ვანო ოქროპირიძე**

## პეტრო ისრაელში წავა

„დინამოდან“ რეჟიმის დარღვევისთვის დათხოვნილი დავით პეტრიაშვილი ერთი ხანია, უგუნდოდ დარჩა. ახალხანს მის „დილაში“ განათხოვრებაზე იყო საუბარი, მაგრამ გორიდან ადგილობრივი ფეხბურთელები გამორბიან და პეტრიაშვილი ჩავიდოდა?!

მერე ნიჟნი ნოვგოროდული „ლოკომოტივის“ ვარიანტი გამოჩნდა. პეტროც რუსეთს გაემგზავრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უფრო სწორად, „დინამოს“ ხელმძღვანელები ჩაერივნენ საქმეში და გაკიცხული მოთამაშისთვის უფრო უკეთესი კლუბი გამოძებნეს უკეთესი პირობებით.

პეტრო აღთქმული მიწისკენ გაეშურება. მისით ისრაელის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი „ჰაპოელი“ დაინტერესებულა.

**ჭოგა ინასარიძე**



## WIMBLEDON'98

# ჩოგბურთის სიძულვილი სჭირდება

ვინ არის წლევანდელი უიმბლდონის ყველაზე უფრო მოულოდნელი მეოთხედფინალისტი კაცებს შორის? ამ კითხვის პასუხს ნუსხაზე თვალის ერთი გადავლებით მიხვდება კაცი, რადგან ბევრმა დავიდე სანგვინეტის გვარ-სახელი შეიძლება სულაც პირველად გაიგოს. მით უფრო საოცარი 25 წლის იტალიელის წარმატებაში ის არის, რომ უიმბლდონამდე ბალახზე სულ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული და დიდი სლემის ტურნირებზეც საუკეთესო მიღწევად წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრე ერიცხებოდა.

„თავადაც გაკვირვებული ვარ, რადგან როცა ჩამოვედი, წარმოდგენა არ მქონდა, როგორ ვითამაშებდი. მაგრამ როგორც კი ვარჯიში დავიწყე, თავი შესანიშნავად ვიგრძენი. ბალახი საპონივითაა, სრიალა, არ ვიცი, რა სიტყვა მოვუძებნო, ალბათ, ამის გამო ჩემი მოწოდებისა და ხისტი დარტყმების მობრუნება მეტოქეებს განსაკუთრებით უჭირთ“ — განაცხადა რიოსის გამგდები ესპანელი ფრანსისკო კლავეტის 7:6 (7:3), 6:1, 6:4 დამარცხების შემდეგ იტალიელმა, რომელიც ლოს ანჯელესის ეკონომიკურ უნივერსიტეტში ორწლიანი სწავლების მიუხედავად ინგლისურში გვარიანად მოიკოჭლებს.

ამერიკაშივე გადადგა სანგვინეტიმ პირველი ნაბიჯი დიდ ჩოგბურთში. იგი თავისი სასწავლებლის სახელით გამოდიოდა. „ეს მაინც განსხვავებული გამოცდილება იყო — კორტზე ხომ მსაჯი არ არის და შეგიძლია, ყველაფერზე გეთაღლითა. მაგალითად, ყველა ეისი ან აუტია, ან ბადეს მოხვედრილი, მაგრამ ასეთმა დამოკიდებულებამ მებრძოლი ხასიათიც ჩამომიყალიბა.“ იტალიელს პროფესიონალურ ჩოგბურთში თავიდან დიდი მიღწევები არ ჰქონდა, 1996 წელი კლასიფიკაციაში 282-ემ ჩაათავა, მაგრამ შარშან თანდათან მოუმატა და მეოთხედფინალში გასვლით საუკეთესოთა მეოთხე ათეულშიც ამოჰყოფს თავს.

სანგვინეტის შემდგომმა მეტოქემ, უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა რიჩარდ კრაიჩეკმა მერვედფინალში სამ სეტში კი დაამარცხა სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა 6:3, 6:3, 7:5, მაგრამ მშრალ კორტზე ყინულივით ისრიალა, ერთხელ მსაჯის სკაზე დაეშვა, მეორედ შარშანდელი ნაოპერაციევი დაიზიანა და მატჩი ტრავმირებულმა დაასრულა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვერც მისი მეტოქე დაიკვეხნიდა ჯანის სიმრთელით: უეინ ფერერამ როლან გაროსზე მარსელო რიოსთან შეხვედრისას ამობრუნებული კოჭის მოშუშება მეტ-ნაკლებად კი მოასწრო, მაგრამ აქ მუცლის კუნთი დაიზიანა, მოწოდება უჭირდა და ყველა მნიშვნელოვან მომენტში კრაიჩეკს ორმაგი შეცდომებით ამარაგებდა.



რიჩარდ კრაიჩეკი მსაჯს ჩაეზიარა

გავიდა მეოთხედფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასიც. მან 1996 წლის საუკეთესო იუნიორის, ფრანგი სებასტიან გროსჟანის 6:3, 6:4, 6:4 დასამარცხებლად ლამის უჩვეულოდ გულახდილ პრესკონფერენციაზე ნაკლები დრო დახარჯა. მატჩის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი თანამედროვე ჩოგბურთის პრობლემებს გადასწვდა და შემდეგი დასკვნები გამოიტანა: „როდესაც ჩოგბურთი ძალიან პოპულარული იყო, 15-20 წლის წინ, ოთხი-ხუთი მოთამაშე ერთმანეთს ლამის ყველა დიდი სლემის ნახევარფინალში და ფინალში ხვდებოდა. ისინი პიროვნულად ძალიან განსხვავდებოდნენ და ერთმანეთი არანაკლებადაც სძულდათ (საუბარი ბორგზე, კონორსსა და მაკენროიზეა). ეს ყველაფერი კარგ თეატრს ჰგავდა და რაც უნდა სამწუხარო იყოს ამის თქმა, თანამედროვე ჩოგბურთსაც ეს სჭირდება — სიძულვილი, მეტოქეობა, რაც გინდათ დაარქვით, წინააღმდეგობრივი პიროვნება, ვილაც დენის როდმანის მაგვარი კაცი“.

**მერვედფინალი:** გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3, 3:6, 7:6 (7:2); მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 5:7, 6:1, 6:3, 6:3; იან სიმერინკი (ჰოლანდია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:3, 6:2.

*იუნიორებში უიმბლდონზე საქართველოს ჩემპიონი ირაკლი ლაბაძეც ასპარეზობს. ირაკლი ტურნირზე მეშვიდედაა განთესილი და გუშინ პირველ წრეში ავსტრიელ ლუბენ პამპულოვს (!) მოუგო 6:3, 6:2.*

**ქალების მეოთხედფინალი:** მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (5, ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — მონიკა სელეში (6, აშშ) 7:6 (7:4), 6:2; ნატალი ტოზია (16, საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3, 6:3; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ვინუს უილიამსი (7, აშშ) 7:5, 7:6 (7:2).

როგორც უიმბლდონზე ამბობენ, თუ ნატაშ ზვერევამ შტეფი გრაფს მოუგო, მაშინ ყველაფერია შესაძლებელი — ტურნირი წვიმის გარეშე და მფრინავი თეფშების არსებობაც კი. ბელარუსი წყვილების სპეციალისტი წლეულს აშკარად დიდი მიზნებისთვისაა განწყობილი და სადაც გრაფთან ათწლიანი, 17-მატჩიანი წაგებების სერიის შეწყვეტა შეძლო, მონიკა სელეშთან განცდილი ოთხი მარცხი როგორღა შეაშინებდა. 27 წლის მინსკელმა მილიონერმა მეოთხედფინალში არც ეს ყოფილი პირველი ჩოგანი დაინდო და 7:6, 6:2 გამარჯვების შემდეგ განაცხადა, ასე თუ გავაგრძელე, აქ მოგების მშვენიერი შანსიც მაქვსო.

ფინალამდე ზვერევას უკანასკნელი დაბრკოლება ფრანგი ნატალი ტოზია იქნება, რომელმაც თავის მხრივ მისთვის მოუხერხებელი მეტოქე, ლინდსი დევენპორტი დაამარცხა, თუმცა ამით სულ რაღაც შეიდი პირადი მარცხისთვის იძია შური: „ჩემი სტილი ძალის მიერ თამაშზეა აგებული. დღეს ყველას ვუჩვენე, რომ სწრაფად და უკეთაც შემიძლია გარჯა, ვიდრე ნებისმიერ სხვას“ — არ დაუმორცხვია ტოზიასაც.

მეოთხედფინალებიდან განსაკუთრებით დაძაბული ვინუს უილიამსისა და იანა ნოვოტნას შეხვედრა გამოდგა. რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილებით განრისხებულმა ამერიკელმა ერთხელ სულაც მთელი ხმით უღრიალა მსაჯს: „მე ვიცი, რომ ბურთი აუტში იყო, მან (ნოვოტნამ) იცის, რომ აუტში იყო, ყველამ იცის, რომ აუტში იყო.“ თუმცა ყველას ცოდნა, როგორც ჩანს, ბევრს არაფერს ნიშნავს და ნახევარფინალის საგზურიც ვინუსმა კი არა (ბალახზე თამაშის), მცოდნე ნოვოტნამ მოიპოვა.

**ავთანდილ სვანიძე**

### გორან ივანიშევიჩი მატჩის შემდეგ

# ვარდი თუ ზვიგენი?

**— ძალიან ცუდად გრძნობდით თავს, წლის დასაწყისიდან მოყოლებული ცუდი შედეგი რომ გქონდათ?**

— დიახ, ეს იოლი პერიოდი არ გახლდათ ჩემთვის, განსაკუთრებით ყველა იმ საუბრისა და სტატიის შემდეგ, გორანის დრო უკვე წავიდა და აღარასოდეს მობრუნდებაო, რომ ამტკიცებდნენ. მართალია, სცენაზე ბევრი ახალი ნიჭიერი ჩოგბურთელი გამოჩნდა, მაგრამ ყოველთვის, როცა კორტზე გავდივარ, ვგრძნობ, რომ თუ კარგად ვითამაშებ, ნებისმიერის დამარცხება შემიძლია. თუმცა, ამავე დროს შეიძლება ძალიან ცუდ მოთამაშეებთანაც წავაგო, რადგან როგორც უკვე მითქვამს, ჩემი მატჩები ტრილერებს ჰგავს, რომლის დასასრული თავადაც არ ვიცი. მაგრამ ჩემი ჩავარდნა უკვე წარსულის ამბავია, ამჟამად თამაშიც მეტად მსიამოვნებს და ამისთვის გარკვეული სტიმულიც გამიჩნდა.

**— რა იცით, რომ კრიზისს თავი დააღწიეთ? ახლა ბედნიერად გრძნობთ თავს?**

— მაგალითად, ორი თვის წინ ვარჯიშების წინ ვფიქრობდი, „ღმერთო, რა გაუძლებს რამდენიმე საათი კორტზე ყოფნას-მეთქი“, ახლა კი თამაშისგანაც და ვარჯიშისგანაც სიამოვნებას ვღებულობ.

**— ეს გარდატეხა ერთ ჩვეულებრივ დღეს მოხდა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე?**

— ერთხელაც საკუთარ თავს ვუთხარი, „კარგი, პირველი ექვსი თვე უკვე გავიდა. ან გააგრძელებ ასე, ან გამოსწორდები, რადგან ამაზე უარესად უბრალოდ შეუძლებელია თამაში. შენ შეგიძლია უკეთესი იყო და შეეშვი საკუთარი თავის შებრალებას-მეთქი.“ როგორც ხედავთ, ამან გაჭრა.

**— გორან, თქვენ ადრეც წარმატებით გიასპარეზიათ უიმბლდონზე და ახლაც თითქოს ამ ტურნირმა გაგიხსნათ მეორე სუნთქვა. რას ნიშნავს უიმბლდონი თქვენთვის?**

— ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირია. ორჯერ ფინალში ვიყავი, ორჯერ ნახევარფინალში, და ძალზე კარგი იქნება, თუ როდესმე მოებასაც მოვახერხებ. წლეულს კარგი შანსი მაქვს ამისთვის, შეიძლება, საერთოდაც კარიერის საუკეთესო ჩოგუბთრს ვთამაშობდე. თანაც სულ ხომ სამი მატჩი დარჩა მოსაგები.



გორან ივანიშევიჩი

**— ტოდმა (მარტინმა) ისეთი მოძრაობა გააკეთა წაგების შემდეგ, თითქოს ჩოგნის დარტყმას გიპირებდათ. ბადესთან რა გითხრათ?**

— მან თქვა „ყოჩაღ, მაგრამ ამჯერად შუა გზაზე ნუ გაჩერდებიო“, იგი შესანიშნავი ბიჭია და არანაკლები ჩოგბურთელი. 1994-ში ჩვენ აქ მსგავსი მატჩი გვქონდა, მოვიგე და ფინალსაც მივაღწიე. ასე რომ, შეიძლება ამჯერადაც რაღაც კარგი მიწერია.

**— ეს-ესაა შევამჩნიე, რომ მარჯვენა მხარზე სვირინგი გქონიათ, რა არის ამოტვიფრული? მაისური ეფარება და გარკვევით არ ჩანს.**

— ჯვარი, ზვიგენი და ვარდი.

**— რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— ჯვარი ჯვარია, ვარდი სიყვარულის ნიშანი, ზვიგენი კი, ეს უბრალოდ საკმაოდ აგრესიული ცხოველია.

**— ამ სვირინგით თქვენი ხასიათის გადმოცემაც შეიძლება, არა?**

— შეიძლება ითქვას, კი, მაგრამ რომ იცოდეთ, რა მტკივნეული იყო მისი გაკეთება. რომ მცოდნოდა, თანხმობას არაფრით მოვცემდი, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა.

**— გორან, ასეთი სვირინგი ფილიპუსისსაც აქვს მხარზე. ერთად ხომ არ გაგიკეთებიათ?**

— არა, პიონერი მე ვიყავი, წლეულს, კი ბისკეინში. ისე, სვირინგი მარცხენა მარზე მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ იქ მითხრეს, მერე შეიძლება მოძრაობა გაგიჭირდესო, ასე რომ შემეშინდა, ვაითუ ვერ ვითამაშო-მეთქი (ივანიშევიჩი ცაციაა) და ეს პატივიც მარჯვენა ხელს ერგო.

**— როცა მას სეტ პოინტი ჰქონდა შენს წინააღმდეგ პირველ ხელში, რაღაცას ხორვატულად ელაპარაკებოდით საკუთარ თავს, ინგლისურად ხომ ვერ გვეტყოდით იმ სიტყვებს?**

— არა მგონია, მართლა გქონდეს სურვილი ეს მოისმინო.

**— წვერს რატომ არ იპარსავთ?**

— უბრალოდ, არ მინდა გავიპარსო, ძალიან ზარმაცი პიროვნება ვარ.

**— კიკინა რა უყავი?**

— რა ვიცი, მომწყინდა ალბათ. ხალხი ჩემგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს მოელის. ყოველთვის მეკითხებიან, „თმის ახალ ვარცხნილობას როდის გაიკეთებ?“ ან პირდაპირ მთხოვენ, ქენი რამეო. ასე რომ, გამომგონებლობა მიხდება-ხოლმე და ამჯერადაც ამ პროცესში ვარ.

კალათბურთი

# ვლადიმერ სტეფანია: შენი დიდი იმედი გვაქვსო

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— კონტრაქტის პირობებზე თუ გქონდათ საუბარი?**

— პირობებზე უკვე მოვილაპარაკეთ, მხოლოდ ხელის მოწერაღა აკლია, მაგრამ აქ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი. NBA-ში ლოკაუტია გამოცხადებული. ლიგის ხელმძღვანელობა მოთამაშეებთან ხელფასის პირობებზე ვერ შეთანხმდა. ამიტომაც კლუბებს ყოველგვარი კონტრაქტის გაფორმება აკრძალული აქვთ, იმედია, ამ საკითხსაც მალე მოევლება და მეც „სიეტლ სუპერსონიქსის" სრულუფლებიანი წევრი გავხდები.

**— „ოლიმპიასთან" ხომ კიდევ ერთი წელი გაქვშირებთ, სლოვენებმა რომ არ გაგიშვან?**

— როგორც გითხარით, ამერიკულ კლუბს ოფიციალური მოლაპარაკების გამართვა ამჯერად არ შეუძლია, ისე კი, „ოლიმპიას" პატრონებთან წინასწარ აპირებენ ჩემს ტრანსფერზე დალაპარაკებას და საერთო ენასაც გამონახავენ.

**— მოკლედ, ნბა-ში, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გაფიცვის დამთავრებას ელოდები?**

— ვფიქრობ, ყველაფერი მალე დამთავრდება, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატს ხომ არ ჩაშლიან, ყველაფრის მიუხედავად, 5 ოქტომბერს სიეტლში უნდა ვიყო. გუნდი მთელი შემადგენლობით იკრიბება და მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება. მეც მათ შევუერთდები და ვეცდები, თავი არ შევირცხვინო.

**— ახალი სამყოფელი როგორ მოგეწონა?**

— უპირველესად, სიეტლის არაჩვეულებრივი სისუფთავე მოგხვდება თვალში, ჯერჯერობით ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი. მთავარია, წარმატებით ვითამაშო კლუბში, თორემ ასეთ მდიდარ ქალაქში ცხოვრებაზე უარს არავინ იტყვის.

სოსო კოტორაშვილი

კაცი, რომელმაც შესაძლოა 1998 წლის დრაფტი „სონიქსის" ისტორიაში გარდატეხის მომენტად აქციოს, ვლადიმერ სტეფანიაა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტის ბილი მაკკინის აზრით, რომელმაც მისი თამაში ხუთჯერ ნახა ევროპაში, 7-ფუტიან ძალზე ნიჭიერ კალათბურთელ სტეფანიას მხოლოდ დრო სჭირდება NBA-ში თავის გამოსაჩენად.

თუმცა, მისი ახალგაზრდობის, ლიუბლიანის გუნდთან კონტრაქტის დარჩენილი ერთი წლის და NBA-ს თითქმის გარდაუვალი გაფიცვის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლოა, სტეფანიამ მომავალ სეზონამდე „სონიქსში" არც ითამაშოს.

სიეტლს დიდი ხანია შერჩეული ჰყავდა სტეფანია, მაგრამ რეკომენდაციისთვის აშშ-ში საქართველოს ელჩს თედო ჯაფარიძეს მიმართეს, რომელიც კალათბურთლის ყოფილ მწვრთნელს დაუკავშირდა და ასეთი ცნობები მიიღო: საზრიანი, შრომისმოყვარე, კარგი მოქალაქე, NBA-ში თავისი შანსის გამოყენების მსურველი.

გაზეთი „სიეტლ პოსტი", 26 ივნისი




ვლადიმერ სტეფანია ლუბლიანის „ოლიმპიაში" დიდ პატივშია

# NBA: ლოკაუტი თუ ნოკაუტი?

NBA ხელმძღვანელებმა კალათბურთის მოყვარულთათვის მეტად სამწუხარო ნაბიჯი გადადგეს. საქმე ისაა, რომ დიდმოხელეებმა ლიგაში შემავალი კლუბების მოთამაშეებთან თანამშრომლობასა და ხელფასებთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთო ენა ვერ გამონახეს და საყოველთაო ლოკაუტი გამოაცხადეს. ეს გადაწყვეტილება ლიგის მმართველთა საბჭოს სხდომაზე მიიღეს, რითაც 1998-99 წლების სეზონის გამართვა საეჭვო შეიქნა.

ასეთ პირობებში ჩვენი საქმიანობა შეუძლებელია. ეს არ გახლავთ ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც NBA-ს და მოთამაშეებს მოგებას მოუტანს. ამას რომ ვამბობ, დღევანდელ სიტუაციას ვითვალისწინებ. მოგვწონს თუ არა ეს, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — განაცხადა NBA-ს კომისიონერმა დევიდ შტერნმა.

ლოკაუტის პირობები გუნდებისთვის მეტად ძნელი ასატანი იქნება. მთელი ამ ხნის მანძილზე კალათბურელები ხელფასს ვერ მიიღებენ, გუნდებს არ ექნებათ ახალ მოთამაშეებთან მოლაპარაკების უფლება, ვერ გააფორმებენ კონტრაქტებს. დაიკეტება ყოველგვარი დაწესებულება, საიდანაც გუნდებქი მოგებას იღებენ (სპორტული ინვენტარის მაღაზიები და სხვა), არ მიეცემათ საშუალება, გამართონ საზაფხულო ბანაკები და ახალ სეზონისთვის ნორმალურად მოემზადონ, ვერ მოაწყობენ ახალგაზრდა მწვრთნელთა თუ მოთამაშეთა სასწავლო კურსებს, გამოეთხოვებიან შეკრებებს.

კომისიონერ შტერნის განცხადებით, ლოკაუტი გაგრძელდება მანამ, სანამ კალათბურთელები დათმობაზე არ წავლენ. მან არ გამორიცხა, რომ ასეთმა გაუგებრობამ შესაძლოა ზამთრამდე, ანაც მთელი 1998-99 წლების სეზონის განმავლობაში გასტანს. დაგეგმნებიდნი, მეტად საჩოთირო სიტუაცია შექმნილა და ნაუცბათევად მასში გარკვევაც ერთობ ძნელია.

— ლიგაში გვყავს რამდენიმე კლუბი, რომელთაც უჯობთ, საერთოდ უფუნქციოდ დარჩნენ, რადგან ამგვარ პირობებში მათი მუშაობა წამგებიანია — ამბობს შტერნი, რომელმაც ისიც კი გაანდო ჟურნალისტებს, რომ NBA, როგორც ორგანიზაცია, უკანასკნელი ხუთი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ზარალობდა და არანაირი შემოსავალი არ ჰქონია. „სამწუხაროდ მმართველობით სისტემაში არის ისეთი საკითხები, რომელთა გაგებაც კალათბურთელებს არაფრით სურთ.

საგულისხმოა, რომ მოთამაშეებსა და დიდმოხელეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება ახალი სულაც არ გახლავთ. ჯერ კიდევ მარტში, NBA-ს საბჭოს ყრილობაზე, კლუბების მფლობელებმა თითქმის ერთსულოვნად (27 ხმა ორის წინააღმდეგ) დაუჭირეს მხარი იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული სამწლიანი კონტრაქტი, რომელსაც ვადა გაუვიდა, ახალი სამწლიანი ხელშეკრულებით არ შეიცვალოს. უფრო მეტიც, კლუბების მფლობელთა იმ პირებს, რომლებიც მოთამაშეებს და ხელმძღვანელებს შორის არსებული კონტრაქტის ექვსი წლით გაგრძელებას უჭერდნენ მხარს, ხელშეკრულების ძირფესვიანად გადახალისება მოსთხოვეს. როგორც აღმოჩნდა, კლუბებლის მფლობელების საქციელი სავსებით გამართლებული ყოფილა, რადგან NBA-ს დადგენილი წესების თანახმად, თუკი მოთამაშის ხელფასი კალათბურთთან დაკავშირებულ შემოსავლის 51,8 პროცენტს აღემატება, მაშინ უფროსობას სრული უფლება აქვს, მას ხელფასი შეუმციროს. NBA-ს წარმომადგენლების განცხადებით, გასულ სეზონში მოთამაშეებმა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ოდენობის ხელფასები თუ სხვა შემოსავლები მიიღეს, ეს კი ლიგის წლიური შემოსავლის 57 პროცენტზე მეტს შეადგენდა.

— ვადაგასული კონტრაქტი მოთამაშეებსა და ლიგას შორის არასამართლიანი იყო და ამიტომაც ვერ გაამართლა. მის ნაცვლად ჩვენ ახალ ხელშეკრულებას ვთავაზობდით კალათბურთელებს, რომლის მიხედვითაც მათი ხელფასი ლიგის წლიური შემოსავლის 48 პროცენტი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ამ წინადადებას არანაირი პასუხი არ მოჰყოლია. არადა, ეს კონტრაქტი ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნებოდა. ახალი წესის გათვალისწინებით, მოთამაშეების ხელფასები კვლავაც გაიზრდებოდა, ოღონდ დღევანდელზე უფრო ნაკლები სიჩქარით. სამწუხაროა, რომ კალათბურთელებმა ჩვენს არც ერთ საქმიან სიტყვას ყური არ ათხოვეს — განაცხადა კომისიონერ შტერნის მოადგილე რუს გრანიკმა.

თუ შტერნის სიტყვებს ვენდობით, პირველი აპრილიდან მოყოლებული ლიგამ ცხრაჯერ სცადა ურჩ მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ეკონომიკურ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვერანაირ შეთანხმებას ვერ მიაღწია.

— NBA არ განაახლებს ფუნქციონირებას იქამდე, სანამ ორივე მხარეს (კალათბურთელებსა და ლიგას) შორის სამართლიანი ხელშეკრულება არ დაიდება — გადაჭრით განაცხადა გრანიკმა.

უნდა ითქვას, რომ NBA-ში შექმნილმა ლოკაუტმა უკვე იმოქმედა საერთაშორისო საკალათბურთო ცხოვრებაზე, რომლესაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ათენში გასამგზავრებლად შეგულებული პროფესიონალებლი მიხვდნენ, რომ ყველაფერი მთლად კარგად ვერ იყო, ბოიკოტი გამოაცხადეს და ათენში გამგზავრებაზე უარი თქვეს.

ირაკლი ხმელიძე

წყალბურთი

სლოვენიურმა წარმატებამ, რომლის თაობაზეც თავის დროზე დაწვრილებით ვიუწყებოდით, ჩვენს გუნდს სალერლელი აუშალა და ახლა მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპის ჩემპიონატის „ბ" ჯგუფში უნდა მიაღწიოს წარმატებას, რათა საგაისოდ ზედა საფეხურზე მდგომ გუნდებთან ბრძოლის უფლება მოიპოვოს. ასე რომ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, შეიძლება ითქვას, ევროპის საჩემპიონატო თესვის დრო დადგომია.

# წყალბურთელებმა თესვა დაიწყეს

„თესვა" დღეს იწყება, სტამბოლში, სადაც იასპარეზებს 12 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. თითოეული ჯგუფიდან ოთხი უძლიერესი გუნდი გაისად „ა" კლასში იასპარეზებს.

თურქეთში გამგზავრებამდე ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს გელა ტუკვაძეს.

— სტამბოლში ჩვენი მეტოქეები იქნებიან: ბელარუსის, მალტის, საფრანგეთის, სლოვენიისა და მასპინძელთა გუნდები, — გვეუბნება გელა ტუკვაძე — აი, ძველი დრო რომ იყოს, ამ გუნდებს იოლად ვძლევდით, ახლა კი არც მათ ძალაზე გვაქვს წარმოდგენა და არც ჩვენი ნაკრებია ისეთი, 8-10 წლის წინათ რომ იყო.

**— მაგრამ ალბათ არც თქვენ დაგიკლიათ ხელი გუნდისთვის და ბიჭებიც მაქსიმალურად მოემზადებოდნენ.**

— რა თქმა უნდა, ასეც იყო. „ლაგუნავერეს" აუზში ვარჯიშის ყველა პირობა შეგვიქმნეს, ჩვენც მაქსიმალურად გამოვიყენეთ დრო, ოღონდ ეგაა, ნაკრებს საკონტროლო შეხვედრები არ ჩაუტარებია. გუნდის წევრებს ორად ვყოფდი და ერთმანეთში ვათამაშებდი.

**— რამდენადაც ვიცით, თქვენ თვალი დაგიდგამთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სამი წევრისთვის, რევაზ გიორგაძისთვის, ვახტანგ თურმანიძისა და მიხეილ ოგანეზოვისთვის, რომლებმაც რუსეთის პირველობაზე გამოიჩინეს თავი და თანაგუნდელებთან ერთად გაიმარჯვეს.**

— დიახ, ასე იყო. სამივე ძალზე პერსპექტიული წყალბურთელია და მონდომებითაც ვარჯიშობენ. მათ ეროვნულ ნაკრებში ვუხმე და თურქეთში წაყვანაც მინდოდა, მაგრამ გიორგაძე და თურმანიძე, სამწუხაროდ, დაშავდნენ, ოგანეზოვი კი ჯანმრთელადაა და მიგვყავს კიდეც სტამბულში.

**— ურიგო არ იქნება, თუ მკითხველს ჩვენი ნაკრების შემადგენლობას შევახსენებთ.**

— მეკარეები არიან თბილისის დინამოელი ირაკლი ბაქრაძე და იტალიაში მოთამაშე ნიკოლოზ ასათიანი, გვყვანან სხვა ლეგიონერებიც, იუგოსლავიაში მოთამაშე ზვიად დავითიანი, კიოლნის „პოსეიდონის" წევრი ირაკლი ტატიშვილი და მოსკოვის „უნივერსიტეტის" თავდამსხმელი ნიკოლოზ ჩიქოვანი, დანარჩენები კი არიან თბილისის დინამოელები: გალაქტიონ ლაითიძე, ზურაბ ალავიძე, მიხეილ ლომთაძე, ნოდარ ჩოლარია,



გელა ტუკვაძე

ფოტო მურაზ [illegible]

ნოდარ ჩხარტიშვილი, გიორგი ჩივაძე, მირზა გოგიშვილი, ავთანდილ მაღლაკელიძე და თამაზ კუტივაძე.

**— თამაზ კუტივაძე?! ეს ვინ თამაზ კუტივაძე, ყოფილი დინამოელი, საქართველოს ნაკრების წევრი რომ იყო 80-იან წლებში თუ ვინმე მისი მოგვარე და სეხნიაა?**

— დიახ, სწორედ ის არის, ჩვენი ძველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი. ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე დიდებულად მოთამაშე წყალბურთელები არასოდეს გვაკლდა. ბოლოს ასეთი იყო რევაზ ჩომახიძე, მაგრამ იგი ახლა რუსეთის ეროვნულ ნაკრებშია და მისი სული და გული გახლავთ. სლოვენიაში ცენტრალურ თავდამსხმელად გვყავდა დავით ჩოდრიშვილი. იგი ნაკრებიდან არც დამითხოვია და არც ჩამომიწერია, პირიქით, ახალგაზრდა, ნიჭიერი და პერსპექტიული წყალბურთელია, მაგრამ გამოცდილება არა აქვს. ჩემი აზრით, სტამბოლში მეტ სარგებლობას სწორედ გამოცდილი წყალბურთელი მოგვიტანს. ამიტომ გუნდში თამაზ კუტივაძე მოვიწვიე.

**— კი მაგრამ, რაღა დროს მისი ამ დონეზე თამაშია. ვფიქრობდით, რომ იგი ვეტერანთა მსოფლიო პირველობისთვის თუ მოემზადებოდა.**

— ხომ გაგიგიათ, ბებერი ხარის რქების ამბავი... კუტივაძემ ჩვენს გუნდთან ერთად ერთი თვე ივარჯიშა. მგონია, რომ ახალგაზრდებზე ნაკლებად არ ითამაშებს.

ირაკლი თავაძე

# ოცნება სიზმრიდან ახდება

ქართველი წყალბურთელები, 70-80-იან წლებში ვლადიმერ ისელიძის კაპიტნობით რომ თამაშობდნენ, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ჯეელობისას ვერ აისრულეს გულისწადილი. და აი, ახლა, როცა მათი წყალბურთელობა ბევრმა დაივიწყა, ისინი... მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

რა თქმა უნდა, ამ წარმატებას მათ ვეტერანთა ასპარეზობაში მიაღწიეს. ეს შეჯიბრება კასაბლანკაში გაიმართა, სადაც ჩვენმა ვეტერანებმა, პირველად რომ გამოდიოდნენ ამგვარ შეჯიბრებაში, გუშინწინ ფინალში უნგრეთის ნაკრებს სძლიეს.

წყალბურთის პარალელურად იქვე ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მოცურავეებიც იბრძოდნენ. აქ თბილისელმა ანდრო იორდანიშვილმა, თავის დროზე საქართველოს ჩემპიონმა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს არაერთგზის გამარჯვებულმა, ორი ოქროსა და ერთიც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ავთანდილ ჭყვიშელი

კალათბურთი

# „აზოტი" საევროპოდ მოღონიერებულა

რუსთავის „აზოტი" ერთადერთი გუნდია, წლეულს კორაჩის თასზე ქართულ კალათბურთს რომ წარადგენს. სულ მალე მისი მეტოქის ვინაობასაც შევიტყობთ. გეხსომებათ, შარშან რუსთაველები მხოლოდ გამოუცდელობის გამო დამარცხდნენ ტალინის „ფაიერსთან" ორი მატჩის ჯამში. ეს, ალბათ, მაგალითი იქნება და „აზოტი" ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

რუსთაველები გუშინ თავიანთ ქალაქში შეუდგნენ საევროპო სამზადისს. თავდაპირველად ფიზიკაზე იზრუნებენ, ივლისის შუა რიცხვებიდან კი ურეკში გაივლიან ორკვირიან შეკრებას. ამის მერე რაჭაში გადაინაცვლებენ და კურორტ უწერაში გააგრძელებენ წვრთნას. მოკლედ, ყველაფერი უკვე დაუგეგმავთ და საეჭვოა, რაიმე შეიცვალოს. ისღაა საკითხავი, რამდენად ნაყოფიერი იქნება ეს გუნდისთვის. „აზოტმა" გაახალგაზრდავებისკენ აიღო ხაზი, რაც თავისთავად მისასალმებელია. გუნდი დატოვეს ვეტერანებმა — კეჭაყმაძემ, ხაიაურმა და კიკვიძემ. არის შევსებაც: აჩიკო ჟღენტი ის კალათბურთელია, რომელიც ასე სჭირდებოდა გუნდს. თსუ-დან წამოსვლის შემდეგ იგი „აზოტში" ჩაირიცხა და ზაზა გაბისონიას გამოჯანმრთელების შემდეგ ეს ორი კალათბურთელი, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ უკანა ხაზს შექმნის საქართველოში. თითქმის გადაწყვეტილია თსუ-ელ ზვიად ბაბიაშვილის საკითხიც. ისიც ამ გუნდის ღირსებას დაიცავს ევროტურნირზე. ამათ დავუმატოთ ჯაფარიძე (წლის საუკეთესო კალათბურთელი), გოგობერიშვილი, ბოისა და ვფიქრობთ, ეს ის კლუბი იქნება, რომელსაც არ უნდა გაუჭირდეს პირველი ეტაპის დაძლევა. თუმცა, სექტემბრამდე ჯერ დიდი დროა, მანამდე „აზოტიც" საბოლოოდ დაკომპლექტდება და იმედია, ევროპაში თავს ღირსეულად წარმოაჩენს.

გიორგი ბიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

ჰოკეი

# სუპერჩეხის სუპერსეზონი

## ლიგის პრესტიჟული პრიზები ევროპელებმა დახვეტეს

ამ დღეებში კანადის ქალაქ ტორონტოში ნჰლ-ის ინდივიდუალური პრიზების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ბუფალოს სუპერმეკარე დომინიკ ჰაშეკის ტრიუმფით აღინიშნა, რომელმაც ერთბაშად სამ ნომინაციაში გაიმარჯვა


სეზონის უძვირფასესი და ორგზის საუკეთესო დომინიკ ჰაშეკი

„ჰართ ტროფი“ (უძვირფასესი ჰოკეისტი) — *დომინიკ ჰაშეკი.*

ჰაშეკის ქაბათა-ქება არაერთხელ თქმულა: მის გვერდით დიდი ოსტატებიც კი იჩრდილებიან და საშუალო დონის ჰოკეისტებად გამოიყურებიან. აკი ამიტომაც აღიარეს 90-იანი წლების მეორე ნახევარი ჩეხის ბატონობის ხანად. მარტო ის რად ღირს, რომ „დომინატორმა“ ნჰლ-ის ყველა დროის მეკარეთაგან პირველმა მოიპოვა ზედიზედ ორჯერ ლიგის ყველაზე პრესტიჟული პრიზი. ჰაშეკმა თავისი უმაღლესი კლასი ოლიმპიადაზეც დაადასტურა, სადაც ჩეხეთის ნაკრებმა მისი თავკაცობით ოქროს მედლები მოიგო.

„ვეზინა ტროფი“ (საუკეთესო მეკარე) — *დომინიკ ჰაშეკი*

ცხადი იყო, რომ „ჰართ ტროფის“ მოპოვების შემდეგ ჰაშეკს არც ამ ნომინაციაში ეყოლებოდა კონკურენტი და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზედიზედ მეოთხედ დაისაკუთრებდა საუკეთესო მეკარის ტიტულს. თუმცა, ერთია ჩეხის ოსტატობა და მეორე — მისი უჩვეულო სტატისტიკური მონაცემები. თავად განსაჯეთ: 13 „შათაუტი“, საშუალოდ ერთ მატჩში გაშვებული 2,09 გოლი და მოგერიების 23,2 % კოეფიციენტი, რომელიც ზედიზედ მეხუთე წელია, საუკეთესოა ლიგაში.

„კოლდერ ტროფი“ (საუკეთესო ახალბედა) — *სერგეი სამსონოვი* (ბოსტონი)

ამ პრიზის უეჭველ მფლობელად ბოსტონელ მოთამაშეს მიიჩნევდნენ. მავანთა წინასწარმეტყველება გამართლდა, ოღონდ ნაწილობრივ — ამ ნომინაციის გამარჯვებულად შერაცხულ დრაფტის პირველ ნომერ ჯო ტორნტონს თანაგუნდელმა სერგეი სამსონოვმა აჯობა. რუსი ფორვარდი თავის პირველივე სეზონში (22 გოლი და 25 პასი) იქცა კლუბის წამყვან ჰოკეისტად და ესოდენ ახალგაზრდამ (18 წლის) ლიგას შთამბეჭდავი თამაშითაც დაამახსოვრა თავი. ამიტომაც მისი საუკეთესო ახალბედად დასახელება სრულიად სამართლიანი გახლდათ. სამსონოვის აღიარება სამომავლოდ კიდევ ერთ უმაღლესი კლასის თავდამსხმელს გვპირდება.

„ნორის ტროფი“ (საუკეთესო მცველი) — *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი)

ამ ჯილდოს რობ ბლეიკისთვის გადაცემა, ალბათ, იმან განაპირობა, რომ თითქმის ყველა პრესტიჟული პრიზი ევროპელებმა იგდეს ხელთ, მით უმეტეს, სპეციალისტთა აზრით, დეტროიტელი შვედი ნიკლას ლიდსტრიომიც ბევრად სჯობდა თავის კოლეგას. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება — ბლეიკი ჩინებული მცველია და ვაჟკაცი სპორტსმენი, რადგან მხოლოდ წლეულს მოიშუშა ტრავმები და მიუხედავად ამისა, მაინც შეძლო სრული სეზონის ჩატარება. 21 გატანილი გოლით კი მან არათუ მცველებს, არამედ ფორვარდებსაც ჩინებული მაგალითი უჩვენა.

„სელკე ტროფი“ (დაცვაში მარჯვე ფორვარდი) — *იერე ლეჰტინენი* (დალასი)

ბუფალოელი მაიკ პეკას დარად, დალასელი ფორვარდი ზედიზედ მეორედ მოხვდა ამ პრიზის მაძიებელთა შორის. თუ შარშან მას პეკა ამჯობინეს, წლეულს ჟურნალისტებმა ფინელ ფორვარდს ვალი დაუბრუნეს. ლეჰტინენის სასარგებლოდ თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ დალასის დაცვა საუკეთესოა ლიგაში, ხოლო გუნდის ლიდერ მაიკ მოდანოს იერესთან შეამხანაგება არა მარტო შეტევების წამოწყების, არამედ დაცვაში გარჯის საშუალებასაც აძლევს.

„ჯეკ ადამს ავარდი“ (საუკეთესო მწვრთნელი) — *პეტ ბერნსი* (ბოსტონი)

ბოსტონელი პეტ ბერნსი ლიგის ისტორიაში პირველი მწვრთნელია, რომელმაც ეს პრიზი სამ სხვადასხვა კლუბში მოიპოვა — 1989 წელს მონრეალში, 1993-ში ტორონტოში, აგერ ახლა კი ბოსტონში, რომელზეც შარშან ყველამ ჩაიქნია ხელი. ბერნსმა ერთი წლის განმავლობაში „დათვები“ ანგარიშგასაწევ და ერთობ პერსპექტიულ გუნდად აქცია. თუმცა, ალბათ, ბერნსი სამივე პრიზს დიდი სიამოვნებით გაუცვლიდა სახელოვან კოლეგა სკოტი ბოუმენს სამ სხვადასხვა კლუბში მოგებულ თასში.

„ლედი ბინგ მემორიალ ტროფი“ (ყველაზე ჯენტლმენი ჰოკეისტი) — *რონ ფრენსისი* (პიტსბურგი)

ეს ფრენსისის კარიერაში მეორე მიღწევაა. პირველად დახვეწილი და თავაზიანი პიტსბურგელი 1995 წელს დაჯილდოვდა.

„ბილ მასტერტონ მემორიალ ტროფი“ (ჰოკეისადმი ერთგულებისა და მამაცობისთვის) — *ჯემი მაკლენანი* (სენტ ლუისი)

ორი წლის წინ მინინგიტშეყრილმა მაკლენანმა არა მარტო სძლია საშინელ სენს, არამედ ფაქტობრივად ახალფეხადგმულმა გმირობის ტოლფასი საქციელით გააოცა ყველა — სენტლუისელთა მეკარე ბრწყინვალედ დაუბრუნდა დიდ ჰოკეის.

„კინგ კლენსი ტროფი“ (ჰუმანურობისათვის) — *კელი ჩეიზი* (სენტ ლუისი)

ყინულზე „პოლიციელი“ მის მიღმა ყველაზე კაცთმოყვარეა და მძიმედ დაავადებულ ბავშვებს მატერიალურ შემწეობას არ აკლებს.

ორი პრიზი მოთამაშეებს სეზონის სტატისტიკური შედეგების მიხედვით გადაეცემათ და მათი მფლობელები ცერემონიალამდეც ცნობილნი იყვნენ.

საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი „არტ როს ტროფი“ პიტსბურგელმა იარომირ იაგრმა მოიპოვა, ხოლო „უილიამ მ. ჯენინგს ტროფი“, რომლითაც ყველაზე ნაკლები შაიბის გამშვები კლუბის მეკარეები ჯილდოვდებიან, ნიუჯერსელებმა მარტინ ბროდომ და მაიკ დანჰემმა დაისაკუთრეს.

ბოლოს, ისევ ჰაშეკი. იმ საღამოს მას კიდევ ერთი პრიზი ელოდა — სეზონის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული „ლესტერ ბ. პირსონ ავარდი“. თუმცა, პრიზებით ხელდამშვენებულმა „დომინატორმა“ მოულოდნელი რამ განაცხადა: „ამ სეზონმა სრულად არ დამაკმაყოფილა — ჩვენ ხომ პლეი ოფის ბოლო მატჩი ვერ მოვიგეთ.“ ეს საოცარი ჩეხი თავის ჰეთ-თრიქს არად აგდებს და ყველას არწმუნებს, რომ უკეთ შეუძლია თამაში.

**სამველ ღარიბიანი**

# ლეკავალიე მომავალი ლემიეა

### როგორც ყოველთვის, სეზონი ტრადიციული დრაფტის ცერემონიალით დასრულდა, რომელზეც ლიგის კლუბებმა ახალი ჰოკეისტები ამოირჩიეს

თავიდანვე ელოდნენ, რომ პირველ ორ ნომრად ცენტრალური სასკაუტო ბიუროს მიერ საუკეთესოებად მიჩნეულ ვინსენტ ლეკავალიესა და დევიდ ლეგვანდს დაასახელებდნენ, საკითხავი ისღა იყო, რომელს აღიარებდნენ უპირველესად. უპირატესობას მაინც ლეკავალიეს ანიჭებდნენ და „ტამპა-ბეი ლაითნინგის“ მესვეურებმაც ყური უგდეს ამ აზრს. ასე რომ, 1998 წლის დრაფტის №1 არჩევანი 18 წლის ვინსენტ ლეკავალიე გახდა, რომელმაც კვებეკის ჭაბუკთა ლიგაში ჩატარებულ 58 მატჩში 44 გოლი და 115 ქულა მიითვალა.

ამ ტანმაღალ ჰოკეისტს (192 სმ, 81 კგ) ალნაგობითაც და თამაშის სტილითაც ძლიერ ამსგავსებენ სახელოვან მარიო ლემიეს. ცხადია, ეს ვინსენტს ძალიან ახარებს, თუმცა თავმდაბლად აცხადებს, ჩემი მარიოსთან შედარება ადრეა, რადგან ჰოკეიში ჯერ არაფერი გამიკეთებიაო.


ვინსენტ ლეკავალიე

ლეკავალიეს ლეგვანდი მოჰყვა, თანაც იგი ლიგის ახალ კლუბ „ნეშვილ პრედეიტორს“ ერგო, რომელმაც მეორე არჩევანის უფლება სან ხოსესგან შეისყიდა. კანადელზე ერთი წლით უმცროსი დევიდი უკვე ძალიან დაფასებულია — ბოლო 24 წლის განმავლობაში იგი პირველი ახალბედაა, ვინაც ონტარიოს ლიგის საუკეთესო მოთამაშის წოდება დაიმსახურა. ლეგვანდმა (184 სმ, 78 კგ) 59 მატჩში 54 გოლი და 51 პასი გააზერხა და ლეკავალიესგან განსხვავებით ერთობ ყოყლოჩინობს: მას მიაჩნია, რომ უკვე მზადაა ნჰლ-ში სათამაშოდ. „თუ ბეჯითად გავისარჯე, ვგონებ, გაისად უკვე შევაბიჯებ ლიგაში“ — აცხადებს იგი.

მომდევნო ორი „პიკს“ (არჩეული ჰოკეისტი) არავინ გაუოცებია. მესამე ნომრად სან ხოსემ შემტევი მცველი ბრედ სტიუარტი (72 მატჩში 65(20+45) ქულა) აიყვანა, ვანკუვერმაც მცველი — ბრაიან ალენი (ონტარიოს ლიგა) ამჯობინა ყველას.

სიურპრიზები ამის მერე დაიწყო. ანაჰაიმმა მეხუთე ნომრად რუსი მცველი ვიტალი ვიშნევსკი (19) აირჩია, რომელიც თანამემამულეთა შორისაც კი მხოლოდ მეორე იყო რეიტინგში, მაშინ, როცა 18 წლის დიმიტრი კალინინის (7) რუსეთის ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება ოდენ მე-18 „პიკად“ დაფასდა. რუსი ახალბედა ბუფალოს ღირსებას დაიცავს.

ცენტრფორვარდ რიკო ფატას, რომელიც ცსბ-ს პირველ ოცეულში ვერ მოხვდა, მეექვსე ნომერი ერგო და კალგარიში იასპარეზებს, ევროპელთაგან მხოლოდ მე-17-ედ მიჩნეული ნიკოლაი ანტროპოვი კი მე-10 „პიკის“ ღირსი გახდა.

უნდა ითქვას, რომ კლუბებმა ყველაზე ნაკლები ყურადღება მეკარეებს მიაპყრეს. თანაც, მათი ჯერი მხოლოდ პირველი რაუნდის შუაგულში დადგა, როდესაც ზედიზედ მე-14 და მე-15 ნომრებად პატრიკ დერომერი (ფინიქსი) და მეტიუ შუინარი (ოტავა) აირჩიეს.

დრაფტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპელთა ავტორიტეტი თანდათან იზრდება. ზემოთ ჩამოთვლილ ჰოკეისტებს პირველ რაუნდში ამ კონტინენტის კიდევ ოთხი წარმომადგენელი დაემატა. განსაკუთრებით აღსანიშნავი ჩეხების წარმატებაა (ეს, როგორც ჩანს, ოლიმპიადის გავლენაა), რომელთაგან სამი მოთამაშე ლიგის გრანდებმა არავის დაუთმეს. მცველმა ირჟი ფიშერმა, ვინაც უკვე მოასწრო კვებეკის ერთ-ერთ ლიგაში თამაში, დეტროიტში ამოჰყო თავი, ბოლო წლების ერთ-ერთმა ყველაზე „ჩეხურმა“ კლუბმა პიტსბურგმა ცენტრფორვარდ მილან კრაფტზე შეაჩერა ყურადღება, ხოლო კოლორადომ ონტარიოს ლიგაში მოთამაშე მარტინ სკულა (9) აიყვანა. კიდევ ერთი ევროპელი, შვედი მცველი კრისტიან ბეკმენი (16), რომელსაც მომავალ ბრაიან ლიჩად იხსენიებენ, სენტ ლუისმა დაისაკუთრა.

პირველ რაუნდში ყველაზე მეტად კოლორადო აქტიურობდა, რომელმაც სხვადასხვა ტრეიდების საშუალებით ერთბაშად ოთხ „პიკს“ (12, 17, 19, 20) მოუყარა თავი. რჩეულთაგან მხოლოდ ერთი, ამერიკელი ალექს ტანგეი (12) გახლავთ ფორვარდი, დანარჩენები კი, მათ შორის, ზემოხსენებული სკულა, მცველები არიან.

მთლიანობაში კლუბების მონაგარი ასე გამოიყურება: 27 ჰოკეისტიდან 11 მცველია, 10 ცენტრფორვარდი, 4 გარემარბი და მხოლოდ ორია მეკარე.

საინტერესოა, რომ ახალბედების გარდა ნჰლ-ში რამდენიმე გამოცდილი მოთამაშითაც დაინტერესდნენ, რომელთაც ევროპაში დიდი ავტორიტეტი გააჩნიათ. აქაც ჩეხები გამოირჩნენ. მათმა ოთხმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — მცველმა იაროსლავ შპაჩეკმა (117, ფლორიდა), ფორვარდებმა პაველ ვატერამ (153, დალასი), დავიდ მორავეცმა (218, ბუფალო) და 31 წლის ირჟი დოპიტამ (123, აილენდერსი) ლიგის კლუბებში თამაშს გამოჰკრა ხელი.


სერგეი სამსონოვი

ბოლოს კი ერთიც უნდა ითქვას. ლიგა ყოველწლიურად ელის ტალანტებს, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანს უმაღლესი კლასის მოთამაშეების, განსაკუთრებით ფორვარდების ნაკლებობას განიცდის. სამწუხაროდ, 1992 წლიდან მოყოლებული წამყვან „პიკებად“ არჩეულ ჰოკეისტთაგან ნამდვილ ვარსკვლავებად მხოლოდ პოლ კარია (1993 წლის №4), ალექსეი იაშინი (1992; 2) და კრის პრონგერი (1993; 2) ჩამოყალიბდნენ. თავის დროზე პირველ ნომრებად დასახელებული რომან ჰამრლიკი (1992), ალექსანდრ დეიგლი (1993), ბრაიან ბერარდი (1995) და ჯო ტორნტონი (1997) კი ჯერჯერობით თავიანთ პოტენციალს ვერ ავლენენ. იმედია, ნჰლ-ის წლევანდელ ახალწვეულთ, უპირველესად კი ლეკავალიესა და ლეგვანდს კარგად ახსოვთ მარიო ლემიეს (1984), გი ლეფლერის (1971), დენის პოტვინის (1973), დეილ ჰავერჩუკისა (1981) და სხვათა საოცარი მაგალითები, რომლებიც დრაფტის პირველობიდან ლიგის ლეგენდებად იქცნენ.

კრივი

# ტაისონს ქალები აუხირდნენ

ახლოვდება ის დღე და საათი, როცა მაიკ ტაისონი განცხადებას შეიტანს ნევადის ათლეტურ კომისიაში. ამ განცხადებით „რკინის მაიკი“ სთხოვს ნევადელ მსაჯულებს, მას ლიცენზია დაუბრუნონ. ერთი წლის წინათ ხომ ევანდერ ჰოლიფილდის ყურის ჩაკბეჩისთვის ტაისონს სამუდამოდ წაერთვა ლიცენზია. ოღონდ წესი ასეთი ყოფილა — ჩამორთმევიდან ერთი წლის თავზე მოკრივეს თხოვნა შეუძლია და მერე უკვე კომისიაზე ჰკიდია, რა და როგორ.

რახან ეს დრო და საათი მოახლოვდა, ყველამ გაიხსენა, რომ ტაისონი ცუდი კაცია. ამათ შორის კი ამერიკელ ქალთა ეროვნული ორგანიზაციის ნევადის სამხრეთ საბჭომაც. ქალთა ორგანიზაციამ მოუწოდა კომისიას, რომ არ დაუბრუნოს ლიცენზია მოკრივეს. ასეთ შემთხვევაში ტაისონი შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ველარასოდეს იჩხუბებს.

„არა მგონია, ასეთი უხეში და მოძალადე კაცი საზოგადოებას სჭირდებოდეს“ — თქვა ნევადელ ქალთა მეთაურმა ენ გოლონკომ, რომელმაც ორმოცდაათივე შტატის ქალთა ორგანიზაციებს გაუგზავნა მხარდაჭერის სათხოვნელი წერილი.

ვაშინგტონში კი ბობოქრობს სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელმაც გასულ ორშაბათს კანონპროექტების მთელი წყება წარმოადგინა პროფესიული კრივის სპორტის სუფთა სახეობად გადასაქცევად. მაკკეინი თაღლით პრომოუტერთა წინააღმდეგ გამოდის და მოკრივეთა უფლებების დაცვაზე ლაპარაკობს.

„ჩვენი პროექტი ბოლოს მოუღებს გაიძვერა, უნამუსო, ვერაგ სტილს, რომელსაც ბევრი პრომოუტერი მისდევს“ — ამბობს მაკკეინი. აქვე ტივტივებს მუჰამედ ალის სახელიც, რომელიც რამდენიმე ცნობილი საკრივო შტატის ათლეტურ კომისიათა თავმჯდომარეებთან ერთად მხარს უჭერს მაკკეინს.

ასე რომ, იქით ტაისონს ავიწროებენ, აქეთ მის ოდინდელ მამასა და მარჩენალს, დონ კინგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცით თუ არა, რომ...

...არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ფრედ დამთავრებული მატჩების შემდეგ დანიშნულ პენალტების სერიაში არასოდეს დამარცხებულა. 1990 წელს იტალიაში გამართულ პირველობაზე სამხრეთამერიკელებმა მეოთხედფინალურ სტადიაზე იუგოსლავიის ნაკრებს თერთმეტმეტრიანების სერიაში 3:2 სძლიეს, ხოლო იმავე ჩემპიონატზე ნახევარფინალურ შეხვედრაში მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან ძირითადი და დამატებითი დროის 1:1 დამთვარების შემდეგ, პენალტებით 4:3 იძალეს. კიდევ ერთ მსგავს წარმატებას არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებმა გუშინწინ მიაღწიეს, როცა მერვედფინალურ მატჩში თერთმეტმეტრიანები ინგლისელებზე უკეთ შეასრულეს 4:3.

* * *

...ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ალან შირერი პირველი ფეხბურთელია, რომელმაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინელთა კარში გოლის გატანა მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთამერიკელებს ბრიტანელებთან მერვედფინალური შეხვედრის მე-10 წუთამდე საკუთარ კარში ბურთი არ მიუღიათ. მათ ჯგუფური ტურნირის მატჩებში რიგრიგობით სძლიეს იაპონიას (1:0), იამაიკას (5:0) და ნორვეგიას (1:0). საგულისხმოა, რომ არგენტინის ნაკრებს არც წინასასაფრანგეთო მზადების ციკლში გამართულ უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში გაუშვია გოლი.

* * *

... არგენტინის ნაკრების მეგოლე გაბრიელ ბატისტუტა, მას შემდეგ, რაც ინგლისელებთან გამართულ მერვედფინალურ შეხვედრაში იმარჯვა, მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირთა სიაში წინ გაჭრილ იტალიელ კრისტიან ვიერის წამოეწია. ახლა ორივე ფეხბურთელს ამ ტურნირზე, ხუთ-ხუთი გოლი აქვთ გატანილი. საინტერესოა, რომ ბატისტუტამ კარგი თამაშით წინა მსოფლიოს პირველობებზეც გამოირჩეოდა. 1994 წელს არგენტინელმა ოთხი გოლის გატანა მოახერხა.

* * *

...გუშინწინ არგენტინისა და ინგლისის ნაკრებებს შორის გამართულ მერვედფინალურ შეხვედრაში მატჩის შემდეგ დანიშნული პენალტების სერია მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპის შეხვედრებში მე-12 გახლდათ. პირველი ასეთი სერია 1986 წელს დაინიშნა და მაშინ ფრანგებმა ბრაზილიის ნაკრებს სძლიეს. ისე კი, ამ თორმეტი შემთხვევიდან ხუთში ერთმანეთის პირისპირ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებები წარსდგნენ და მოხსენიებული წყვილის გარდა დანარჩენ ოთხ შემთხვევაშიც გამარჯვება ყოველთვის ამერიკელებს რჩებოდათ.

* * *

...ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დევიდ ბექემი მე-17 ფეხბურთელია, რომელიც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდვრიდან გააძევეს. საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი მსოფლიოს პირველობების ისტორიაში სარეკორდოა, რადგან მანამდე არც ერთ ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ამდენი მოთამაშე მოედნიდან არ მიუბრძანებიათ.

* * *

...ინგლისელმა ალან შირერმა არგენტინელებთან გამართულ მერვედფინალურ შეხვედრაში თავის გამოჩენით ერთგვარი რეკორდი დაამყარა. მის მიერ შეგდებული გოლი 147-ე გახლდათ, რომლებიც ფეხბურთელმა წელს საფრანგეთის მინდვრებზე გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ აქამდე სარეკორდო მაჩვენებელი 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიოს პირველობას ეკუთვნოდა. მაშინ ტურნირზე 146 გოლი გავიდა. ზემოხსენებულ მატჩში შირერის შემდეგ თავი მაიკ ოუენმა და ხავიერ ძანეტიმაც გამოიჩინეს და შესაბამისად 148-ე და 149-ე გოლები შეაგდეს. ასე რომ, ერთ-ერთ მეოთხედფინალურ ბრძოლაში პირველივე ფეხბურთელი, რომელიც მეტოქის კარს დალაშქრავს, ამ ჩემპიონატზე საიუბილეო, 150-ე გოლის ავტორი გახდება.

* * *

...ხორვატიის ნაკრებმა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე პირველად მონაწილეობს, ამ ტურნირის მეოთხედფინალს უწია. ექსიუგოსლაველებმა ეს მერვედფინალურ შეხვედრაში ყვითელთავა რუმინელების 1:0 დამარცხებით მოახერხეს. საინტერესოა, რომ ამგვარი წარმატებისთვის აქამდე მხოლოდ ერთ — ირლანდიის ნაკრებს მიუღწევია. 1990 წელს იტალიაში ირლანდიელებმა ასევე მეოთხედფინალამდე მისვლა შეძლეს.

* * *

...წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ევროპის ექვსი წარმომადგენელი გავიდა, მაშინ როცა სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ღირსებას მხოლოდ ორი — არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები იცავენ. საგულისხმოა, რომ ეს შემთხვევა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში სარეკორდო როდია. 1994 წელს ამერიკაში გამართულ პირველობაზე უძლიერეს რვა გუნდს შორის შვიდი ევროპელი გახლდათ. თუმცა მაშინ მეოთხედფინალში ერთადერთმა სამხრეთამერიკულმა ნაკრებმა, ბრაზილიამ გააღწია, რომელმაც ბევრი კონტინენტის წარმომადგენელთა სიმრავლე არად ჩააგდო და ჩემპიონობა მოიპოვა.

## ფიფამ დაასახელა ის მსაჯები, რომლებიც მეოთხედფინალურ მატჩებს მოემსახურებიან

| 3 ივლისი, პარასკევი | 4 ივლისი, შაბათი |
| --- | --- |
| **იტალია — საფრანგეთი**<br>ჰუ დალასი (შოტლანდია) | **ჰოლანდია — არგენტინა**<br>არტურო ბრისიო კარტერი (მექსიკა) |
| **ბრაზილია — დანია**<br>ჯამალ ჰანდური (ეგვიპტე) | **გერმანია — ხორვატია**<br>რუნე პედერსენი (ნორვეგია) |




*რონალდოს ყველაზე დიდი ქომაგი — მისი საცოლე სუზანა ვერნერი*

## მერვედფინალის სიმბოლური ნაკრები
## სარბიელის ვერსია




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29